პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

კომუნისტი

საქართველოს კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის, საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოსა და საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს ორგანო

КОМУНИСТИ — ОРГАН ЦК КП ГРУЗИИ, ВЕРХОВНОГО СОВЕТА ГРУЗИНСКОЙ ССР И СОВЕТА МИНИСТРОВ ГРУЗИНСКОЙ ССР

6 მაისი ორშაბათი 1968

ფასი 2 კაპ.

გამოცემის 48-ე წელი • № 105 (14101)

გენიალური მოაზროვნე და რევოლუციონერი

კარლ მარქსის დაბადების 150 წლისთავისადმი მიძღვნილი საზეიმო სხდომა მოსკოვში

მთელი მსოფლიოს კომუნისტები, მშრომელები, მოწინავე საზოგადოებრიობა, როგორც დიდ და სასიხარულო დღესასწაულს, აღნიშნავენ კარლ მარქსის დაბადების 150 წლისთავს. 5 მაისს მოსკოვში, კრემლის ყრილობათა სასახლეში გაიმართა ამ ღირსშესანიშნავი თარიღისადმი მიძღვნილი საზეიმო სხდომა.

პრეზიდიუმში არიან ამხანაგები ლ. ი. ბრეჟნევი, ნ. ვ. პოდგორნი, ა. ნ. კოსიგინი, კ. ტ. მაზუროვი, ნ. ვ. პოდგორნი, დ. ს. პოლიანსკი, მ. ა. სუსლოვი, ა. ნ. შელეპინი, ი. ვ. ანდროპოვი, ვ. ვ. გრიშინი, პ. ნ. დემიჩევი, დ. თ. უსტინოვი, ი. ვ. კაპიტონოვი, კ. ფ. კატუშევი, თ. დ. კულაკოვი, მ. ს. სოლომენცევი, რომლებსაც შეკრებილნი გულთბილად შეხვდნენ.

პარტიისა და მთავრობის ხელმძღვანელებთან ერთად პრეზიდიუმში არიან ლენინური პარტიის ვეტერანები, დედაქალაქის პარტიული, საბჭოთა და საზოგადოებრივი ორგანიზაციების წარმომადგენლები, უცხოელი სტუმრები, საბჭოთა კავშირში ზეიმზე ჩამოსული მარქსის ბადიშიშვილები — რობერ, ფრედერიკ და პოლ ლონგეები.

სხდომა გახსნა სკკპ ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიუროს წევრობის კანდიდატმა, პარტიის მოსკოვის საქალაქო კომიტეტის პირველმა მდივანმა ვ. ვ. გრიშინმა.

მოხსენება „კარლ მარქსი — მუშათა კლასის გენიალური მასწავლებელი და ბელადი" წაიკითხა სკკპ ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიუროს წევრმა, სკკპ ცენტრალური კომიტეტის მდივანმა მ. ა. სუსლოვმა.

მოხსენება დიდი ყურადღებით მოისმინეს და არაერთგზის გაისმოდა ტაში.

საზეიმო სხდომა დახურულად გამოაცხადეს. შეკრებილნი მღერიან პარტიულ ჰიმნს „ინტერნაციონალს".

შემდეგ გაიმართა სადღესასწაულო კონცერტი. (საკდესი).

კარლ მარქსი—მუშათა კლასის გენიალური მასწავლებელი და ბელადი

ამხანაგ მ. ა. სუსლოვის მოხსენება საზეიმო სხდომაზე 1968 წლის 5 მაისს

ამხანაგებო! დღეს მთელი მსოფლიოს კომუნისტები, მშრომელთა ფართო წრეები, მოწინავე საზოგადოებრიობა აღნიშნავენ ღირსშესანიშნავ თარიღს — მეცნიერული კომუნიზმის ფუძემდებლის, საერთაშორისო პროლეტარიატის გენიალური მასწავლებლისა და ბელადის კარლ მარქსის დაბადების 150 წლისთავს.

დიდი მოაზროვნე და მგზნებარე რევოლუციონერი კ. მარქსი ისტორიაში შევიდა როგორც ადამიანი, რომელმაც მუშათა კლასს, ყველა მშრომელსა და ჩაგრულ ხალხებს უჩვენა საუკუნეობრივი ექსპლოატაციისა და დამონებისაგან განთავისუფლების გზა, სოციალური და სულიერი თავისუფლების მოპოვების გზა. მარქსმა მეცნიერულად დაასაბუთა ანტიხალხური კაპიტალისტური წყობილების რევოლუციური დანგრევის აუცილებლობა და შესაძლებლობა და დასახა ახალი საზოგადოების შექმნის პერსპექტივები, საზოგადოებისა, სადაც არ იქნება ექსპლოატაცია, ჩაგვრა და სიღატაკე, სადაც წარმოება, მეცნიერება და კულტურა მთელ ხალხს ეკუთვნის და მთელი ხალხის ინტერესებისათვის ვითარდება. მარქსმა გამოავლინა პროლეტარიატის მსოფლიო-ისტორიული როლი კაპიტალიზმის დამხობისა და კომუნისტური საზოგადოების შექმნაში.

მარქსის მთელი ცხოვრება იყო პროლეტარიატისადმი უანგარო, გმირული სამსახურის დიადი მაგალითი. უაღრესად ძნელი იყო მარქსის ცხოვრების გზა: ემიგრანტული ცხოვრების სიძნელეები, ქრონიკული გაჭირვება, მთელი მსოფლიოს რეაქციული ძალების მხრივ ცილისწამება და დევნა. მაგრამ უმაგალითო ვაჟკაცობამ, უდიდესმა სიმტკიცემ ბრძოლაში და მუშათა კლასის საქმის გამარჯვების ურყეველმა რწმენამ გადაატანინა მარქსს ყველა განსაცდელი.

კ. მარქსთან ერთად მუშაობდა და იბრძოდა მუშათა კლასის ინტერესებისათვის მისი უახლოესი მეგობარი და თანამებრძოლი ფ. ენგელსი. კ. მარქსისა და ფ. ენგელსის სიკვდილის შემდეგ მათი საქმე და მოძღვრება გენიალურად განაგრძო ვლადიმერ ილიასძე ლენინმა.

კ. მარქსმა და ფ. ენგელსმა შეიმუშავეს მეცნიერული თეორია, რომელშიც ჩამოყალიბებულია ბუნების, საზოგადოების, ადამიანის აზროვნების განვითარების, საზოგადოების რევოლუციური გარდაქმნის ზოგადი კანონები. მარქსისა და ენგელსის სახელებთან დაკავშირებულია საერთაშორისო კომუნისტური მოძრაობის დაწყება.

მარქსიზმის გავლენით მუშათა კლასმა სულ უფრო მეტად შეიგნო თავისი ისტორიული მისია, თავისი ბრძოლის ინტერნაციონალური ხასიათი და საერთაშორისო ურთიერთობის მნიშვნელობა მისი დიადი მიზნების მიღწევაში. მარქსიზმის დროშით მუშათა კლასი ქმნის და ავითარებს თავის კლასობრივ ორგანიზაციებს, აჩაღებს აქტიურ მზარდ ბრძოლას ბურჟუაზიის წინააღმდეგ. მეცნიერული სოციალიზმისადმი მტრულ მიმდინარეობათა წინააღმდეგ ბრძოლაში კ. მარქსის მოძღვრება ახალ-ახალ გამარჯვებებს აღწევს.

მარქსისტული იდეების დროშით გაიმარჯვა ოქტომბრის რევოლუციამ, აშენდა სოციალიზმი სსრ კავშირში, გაიმარჯვეს სოციალისტურმა რევოლუციებმა ევროპის, აზიის მთელ რიგ ქვეყნებში, კუბაზე. მარქსიზმის მოძღვრება ხორციელდება სოციალისტური ქვეყნების ხალხთა გარდამქმნელი შრომით და სულ უფრო დიდ გავლენას ახდენს კაპიტალისტური სამყაროს შშრომელთა ფართო ფენებზე, ვითარდება ყოველმხრივ.

მარქსიზმ-ლენინიზმის ნამდვილი ტრიუმფით აღინიშნა იმპერიალიზმის წინააღმდეგ ბრძოლის თანამედროვე პერიოდი. ყოველივე, რაც კი მსოფლიოში რევოლუციური და მოწინავეა, მარქსიზმისაკენ ისწრაფვის. კომუნისტური მოძრაობა, რომლის რიგებში გასული საუკუნის ორმოცდაათიან წლებში მხოლოდ რამდენიმე ასეული კომუნისტი იყო, ახლა მსოფლიოში ყველაზე გავლენიანი ძალა გახდა. ხალხები ეძებენ და პოულობენ მარქსიზმ-ლენინიზმში პასუხს საჭირბოროტო პრობლემებზე. ისტორიაში არ ყოფილა და არც არის თეორიის ავტორიტეტისა და გავლენის ასეთი სწრაფი ზრდის მაგალითი.

მარქსისტულ-ლენინური მოძღვრება ჭეშმარიტად ინტერნაციონალური ხასიათისაა. მისთვის არ არსებობს საზღვრები და იგი მშრომელთა საერთაშორისო ერთიანობისა და ძმობის იდეურ საფუძველს წარმოადგენს.

ვცემთ რა პატივს კ. მარქსის ხსოვნას, ჩვენ, საბჭოთა ადამიანები, პატივისცემისა და მადლიერების განსაკუთრებული გრძნობით აღვნიშნავთ დღეს მის იუბილეს. კ. მარქსის რევოლუციური მოძღვრება მეშვიდე ათეულ ოქტომბრის ... [illegible] ... ბრძოლა ... [illegible] ... ბრძოლისა და პროლეტარიატის მსოფლიო-ისტორიული როლის თეორიას.

„როგორც ყოველ ახალ თეორიას, — წერდა ფ. ენგელსი, — სოციალიზმს უწინარეს ყოვლისა უნდა ეხელმძღვანელნა მანამდე დაგროვილი იდეური მასალით, თუმცა მას ღრმად ჰქონდა ფესვები გადგმული მატერიალურ ეკონომიურ ფაქტებში" (კ. მარქსი და ფ. ენგელსი, თხზ., ტ. 19, გვ. 189, რუს. გამოცემა).

მარქსისტული თეორიის წარმოშობის **სოციალური ფესვები** უწინარეს ყოვლისა ის არის, რომ წარმოების კაპიტალისტური წესის განვითარებასა და მისი წინააღმდეგობების ზრდასთან ერთად საზოგადოებრივი ცხოვრების ასპარეზზე გამოვიდა და თავისი ისტორიული აღმავლობა დაიწყო ახალმა, თანმიმდევრულად რევოლუციურმა კლასმა — პროლეტარიატმა.

მარქსიზმმა პროლეტარიატში ჰპოვა თავისი მატერიალურ-სოციალური ბაზა. პროლეტარიატისათვის მარქსიზმი წარმოადგენს მძლავრ იდეურ იარაღს კაპიტალიზმის წინააღმდეგ ბრძოლაში. პროლეტარიატის კლასობრივი ინტერესების და საზოგადოებრივი პროგრესის ობიექტური მოთხოვნილებების დამთხვევამ, და, მეორე მხრივ, პროლეტარიატის კლასობრივ მიზნებთან მარქსისტული იდეების შესაბამისობამ, რომლებსაც ზუსტად ობიექტური, მეცნიერული ხასიათი აქვთ, მარქსისტულ თეორიას მიანიჭეს უდიდესი გარდამქმნელი როლი და სასიცოცხლო ძალა. მარქსიზმი ჭეშმარიტად

დიდი მოაზროვნე და რევოლუციონერი

მარქსიზმის წარმოშობა მსოფლიო ისტორიის გზაზე შემთხვევითი მოვლენა როდი იყო. იგი კანონზომიერად განაპირობა სოციალური განვითარების მთელმა მსვლელობამ.

იდეურ-თეორიული თვალსაზრისით მარქსიზმი მოამზადა მეცნიერული საზოგადოებრივი აზრის მთელმა განვითარებამ და ბუნებისმეტყველების დარგის უდიდესმა აღმოჩენებმა. მარქსის მოძღვრება, წერდა ვ. ი. ლენინი, „...წარმოიშვა როგორც ფილოსოფიის, პოლიტიკური ეკონომიისა და სოციალიზმის უდიდეს წარმომადგენელთა მოძღვრების პირდაპირი და უშუალო **გაგრძელება**". (თხზ., ტომი 19, გამოცემა მეოთხე, გვ. 4).

კ. მარქსი იყო ნამდვილი ენციკლოპედისტი, დაუცხრომელი მეცნიერი-მოაზროვნე, რომელმაც დიდი გმირობა ჩაიდინა. მან კარგად იცოდა საზოგადოებრივი აზრის მიმდინარეობანი, თავისი დროის უმნიშვნელოვანესი საბუნებისმეტყველო აღმოჩენები, ყოველმხრივ გამოიკვლია კაპიტალიზმის განვითარების ძირითადი ტენდენციები. მან კრიტიკულად აითვისა და შემოქმედებითად გადააამუშავა მეცნიერების მიღწევები და მოახდინა ნამდვილი რევოლუცია ფილოსოფიაში, პოლიტიკურ ეკონომიაში, საზოგადოების შესწავლაში, შექმნა მთლიანი და მწყობრი რევოლუციური მოძღვრება. 1848 წლის თებერვალში გამოცემულ „კომუნისტური პარტიის მანიფესტში" მარქსმა და ენგელსმა ჩამოაყალიბეს ახალი მოძღვრების საფუძვლები: თანმიმდევრული ფილოსოფიური მატერიალიზმი, რომელიც მოიცავს ბუნებასა და სოციალურ ცხოვრებას, დიალექტიკას, როგორც განვითარების შესახებ ყოველმხრივ და ღრმა მოძღვრებას, კლასობრივი ბრძოლისა და პროლეტარიატის მსოფლიო-ისტორიული როლის თეორიას.

„როგორც ყოველ ახალ თეორიას, — წერდა ფ. ენგელსი, — სოციალიზმს უწინარეს ყოვლისა უნდა ეხელმძღვანელნა მანამდე დაგროვილი იდეური მასალით, თუმცა მას ღრმად ჰქონდა ფესვები გადგმული მატერიალურ ეკონომიურ ფაქტებში" (კ. მარქსი და ფ. ენგელსი, თხზ., ტ. 19, გვ. 189, რუს. გამოცემა).

მარქსისტული თეორიის წარმოშობის **სოციალური ფესვები** უწინარეს ყოვლისა ის არის, რომ წარმოების კაპიტალისტური წესის განვითარებასა და მისი წინააღმდეგობების ზრდასთან ერთად საზოგადოებრივი ცხოვრების ასპარეზზე გამოვიდა და თავისი ისტორიული აღმავლობა დაიწყო ახალმა, თანმიმდევრულად რევოლუციურმა კლასმა — პროლეტარიატმა.

მარქსიზმმა პროლეტარიატში ჰპოვა თავისი მატერიალურ-სოციალური ბაზა. პროლეტარიატისათვის მარქსიზმი წარმოადგენს მძლავრ იდეურ იარაღს კაპიტალიზმის წინააღმდეგ ბრძოლაში. პროლეტარიატის კლასობრივი ინტერესების და საზოგადოებრივი პროგრესის ობიექტური მოთხოვნილებების დამთხვევამ, და, მეორე მხრივ, პროლეტარიატის კლასობრივ მიზნებთან მარქსისტული იდეების შესაბამისობამ, რომლებსაც ზუსტად ობიექტური, მეცნიერული ხასიათი აქვთ, მარქსისტულ თეორიას მიანიჭეს უდიდესი გარდამქმნელი როლი და სასიცოცხლო ძალა. მარქსიზმი ჭეშმარიტად

მარქსმა და ენგელსმა, შექმნეს რა დიალექტიკური და ისტორიული მატერიალიზმი, მოახდინეს ძირეული გადატრიალება ფილოსოფიაში. მარქსამდე მატერიალისტები მატერიალისტურ დასკვნებს არ უკავშირებდნენ განვითარების იდეას და ვერ გაავრცელეს მატერიალიზმი საზოგადოებრივი ურთიერთობის სფეროზე. მარქსამდელი დიალექტიკის მომხრეები ცნობდნენ განვითარების იდეას, მაგრამ წყვეტდნენ მას მატერიალურ სამყაროს, ანიჭებდნენ მისტიკურ ხასიათს.

ცხოვრებამ კი მოითხოვა საზოგადოებასა და ბუნებაში მიმდინარე ობიექტური პროცესების, როგორც განვითარების პროცესების, მეცნიერული ახსნა. ბუნებისმეტყველებამ დაამტკიცა ორგანული და არაორგანული მატერიის ცვალებადობა. კ. მარქსმა და ფ. ენგელსმა დაამტკიცეს საზოგადოებრივი ცხოვრების ფორმების ცვალებადობა, თანმიმდევრულად გამოიყენეს განვითარების იდეა ისტორიაში. მათ ორგანულად დაუკავშირეს მატერიალისტური თეორია განვითარების დიალექტიკურ იდეას, გვიჩვენეს, რომ ბუნებასა და საზოგადოებაში მოქმედებს ზოგადი ობიექტური კანონები, შექმნეს განვითარების მთლიანი კონცეპცია, თვისებრივად ახალი ფილოსოფიური მეცნიერება — დიალექტიკური და ისტორიული მატერიალიზმი.

(გაგრძელება მე-2 გვ.)

ჩეხოსლოვაკიის სოციალისტური რესპუბლიკის დელეგაცია მოსკოვში

სკკპ ცენტრალური კომიტეტისა და საბჭოთა მთავრობის მოწვევით 4 მაისს მოსკოვში ხანმოკლე ამხანაგური ვიზიტით იყო ჩეხოსლოვაკიის სოციალისტური რესპუბლიკის დელეგაცია, რომლის შემადგენლობაში იყვნენ: ჩეხოსლოვაკიის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის პირველი მდივანი ა. დუბჩეკი, ჩეხოსლოვაკიის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის პრეზიდიუმის წევრი, ჩეხოსლოვაკიის სოციალისტური რესპუბლიკის ეროვნული კრების თავმჯდომარე ი. სმრკოვსკი, ჩეხოსლოვაკიის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის პრეზიდიუმის წევრი, ჩეხოსლოვაკიის სოციალისტური რესპუბლიკის მთავრობის თავმჯდომარე ო. ჩერნიკი, ჩეხოსლოვაკიის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის პრეზიდიუმის წევრი, სლოვაკიის კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის პირველი მდივანი ვ. ბილიაკი.

ჩეხოსლოვაკიის სოციალისტური რესპუბლიკის დელეგაციის მოსკოვში ყოფნის დროს გაიმართა საუბრები, რომლებშიც საბჭოთა კავშირის მხრივ მონაწილეობდნენ — სკკპ ცენტრალური კომიტეტის გენერალური მდივანი ლ. ი. ბრეჟნევი, სკკპ ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიუროს წევრი, სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე ნ. ვ. პოდგორნი, სკკპ ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიუროს წევრი, სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარე ა. ნ. კოსიგინი, სკკპ ცენტრალური კომიტეტის მდივანი კ. თ. კატუშევი, სკკპ ცენტრალური სარევიზიო კომისიის წევრი, სკკპ ცენტრალური კომიტეტის განყოფილების გამგე კ. ვ. რუსაკოვი.

საუბრების დროს, რომლებმაც გულახდილ, მეგობრულ ვითარებაში ჩაიარა, მხარეებმა ერთმანეთს გაუზიარეს აზრი ორი ქვეყნის მდგომარეობის შესახებ, საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიისა და ჩეხოსლოვაკიის კომუნისტური პარტიის საქმიანობის შესახებ. მხარეები შეთანხმდნენ, რომ კვლავაც განავითარებენ საბჭოთა კავშირ-ჩეხოსლოვაკიის ურთიერთობას, აგრეთვე განიხილეს საერთაშორისო მდგომარეობისა და მსოფლიო კომუნისტური და მუშათა მოძრაობის აქტუალური პრობლემები.

შეხვედრის მონაწილეებმა გამოთქვეს სურვილი ყოველნაირად განავითარონ საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიისა და ჩეხოსლოვაკიის კომუნისტური პარტიის, სსრ კავშირისა და ჩეხოსლოვაკიის სოციალისტური რესპუბლიკის მეგობრული ურთიერთობა და ყოველმხრივი თანამშრომლობა მარქსიზმ-ლენინიზმისა და. პროლეტარული ინტერნაციონალიზმის პრინციპების საფუძველზე, გაიფართოონ კონტაქტები ყველა დონეზე, იბრძოლონ სოციალისტური თანამეგობრობის ქვეყნებისა და მსოფლიო კომუნისტური მოძრაობის ერთიანობისა და შეკავშირების განმტკიცებისათვის. შეთანხმდნენ, რომ ექსპერტები განიხილავენ ორივე მხარის წინადადებებს ეკონომიური თანამშრომლობის შემდგომი განვითარებისათვის.

5 მაისს ჩეხოსლოვაკიის სოციალისტური რესპუბლიკის დელეგაცია პრაღაში გაფრინდა.

უკეთ გავაშუქოთ პარტიული ცხოვრება რაიონულ გაზეთებში

თათბირი საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის პროპაგანდის განყოფილებაში

საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის პროპაგანდის განყოფილებაში გაიმართა თათბირი, რომელმაც განიხილა რაიონულ გაზეთებში პარტიული ცხოვრების გაშუქების გაუმჯობესების საკითხი.

თათბირმა მოისმინა ხაშურის რაიონული გაზეთის „გამარჯვების გზისა" და ზუგდიდის გაზეთის „მებრძოლის" რედაქციათა ანგარიშები.

თათბირზე აღინიშნა, რომ ამ გაზეთებში პარტიული ცხოვრების საკითხებს უკავია წამყვანი ადგილი. სულ უფრო ფართოდ იხეტქება სტატიები, კორესპონდენციები, ნარკვევები, რეპორტაჟები, რომლებიც ცხადყოფენ, რომ ამ ბოლო წლებში უფრო განმტკიცდა და გაღრმავდა პარტიისა და ხალხის კავშირი, ამაღლდა მისი ავტორიტეტი, გაიზარდა მისი როლი კომუნისტურ შშენებლობაში.

გაზეთების ფურცლებზე რეგულარულად გამოდიან პარტიული მუშაკები, კომუნისტები, რომლებიც აყენებენ პარტიულ-პოლიტიკური და ორგანიზაციულ-აღმზრდელობითი მუშაობის აქტუალურ პრობლემებს. იხეტქება კრიტიკული წერილები პარტიულ ორგანიზაციათა საქმიანობაში არსებულ ცალკეულ ნაკლოვანებათა შესახებ.

მნიშვნელოვნად გამოიცოცხლდა პარტიული ცხოვრების გაშუქება რაიონულ გაზეთებში მას შემდეგ, რაც „პრავდამ" გამოაქვეყნა კომენსტ პ. აბაშვილის წერილი „კომუნისტი თავის ორგანიზაციაში", თავიანთ სტატიებში კომუნისტები აყენებენ მძაფრ, საჭირბოროტო საკითხებს, რომლებიც აინტერესებს ფართო პარტიულ მასებს, საზოგადოებრიობას.

ამასთან ერთად თათბირზე აღინიშნა ავრეთვე არსებითი ნაკლოვანებანი, რომლებიც არის რაიონული გაზეთების მუშაობაში რაიონების პარტიული ცხოვრების გაშუქების საქმეში. ზემოაღნიშნულ გაზეთებში (უმთავრესად ეს ეხება ზუგდიდის გაზეთ „მებრძოლს") მთელი რიგი სტატიები და კორესპონდენციები, რომლებიც იბეჭდება რუბრიკით „პარტიული ცხოვრება", უსაგნოა, მათში წამოჭრილი არ არის პარტიულ ორგანიზაციათა საქმიანობის გაუუჯობესების კონკრეტული საკითხები. ასეთი სტატიების ავტორები ყურადღებას უგლუსნ ნაკლოვანებებს, უყურადღებოდ ტოვებენ პარტიული და სახელმწიფო დისციპლინის დარღვევის შემთხვევებს, გადაჭრით არ იბრძვიან წესის, შრომის დისციპლინის დარღვევის შემთხვევების, ცალკეულ მუშაკთა დაუდევრობისა და უპასუხისმგებლობის წინააღმდეგ. მთელი რიგი გაზეთის სტატიების ხარისხიც მდარეა.

თათბირმა მოსთხოვა რაიონული გაზეთების რედაქციებს უფრო მკაფიოდ ასახონ პარტიული ორგანიზაციის სისხლსავსე ცხოვრება, თავიანთი საქმიანობით შეუწყონ ხელი ყველა კომუნისტის ავანგარდული როლის გაზრდას ბუთწლედისათვის ბრძოლაში, ხელი შეუწყონ მასების აღზრდას. უფრო ფართოდ უნდა გაშუქებდეთ და განვიხილავდეთ სამეურნეო და კულტურული მშენებლობისადმი პარტიული ხელმძღვანელობის სტილისა და მეთოდების სრულყოფის გზებს, შინაპარტიული დემოკრატიის შემდგომი განვითარებისა და პარტიული დისციპლინის განმტკიცების ამოცანებს, უფრო გაბედულად ვაკრიტიკებდეთ ნაკლოვანებებს პარტიულ და სამეურნეო ორგანოების მუშაობაში, ვიღვწოდეთ სტატიებისა და კორესპონდენციების ხარისხის მკვეთრი გაუმჯობესებისათვის, საგაზეთო ჟანრების მრავალფეროვნებისათვის, გაზეთის მასალების ჭმედითობისათვის. (საქდესი).

საბჭოთა პრესის მუშაკთა დღესასწაული

საქართველოს მშრომელებმა მთელ საბჭოთა ხალხთან ერთად ზეიმით აღნიშნეს ტრადიციული დღესასწაული — საბჭოთა პრესის დღე.

საბჭოთა პრესის მუშაკთა ამ ღირსშესანიშნავი დღესასწაულისადმი მიძღვნილი საღამო გაიმართა 5 მაისს თბილისის რუსთაველის სახელობის სახელმწიფო აკადემიური თეატრის მცირე დარბაზში. საღამო მოაწყვეს საქართველოს კომპარტიის თბილისის საქალაქო კომიტეტმა, რესპუბლიკის ჟურნალისტთა კავშირმა და საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს ბეჭდვითი სიტყვის სახელმწიფო კომიტეტმა.

დარბაზში შეიკრიბნენ რესპუბლიკური გაზეთების, ჟურნალების, რადიოს, ტელევიზიის, საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოსთან არსებული დეპეშათა სააგენტოს რედაქციათა თანამშრომლები, მათი საზოგადოებრივი კორესპონდენტები, გამომცემლობათა და პოლიგრაფიული მრეწველობის მუშაკები.

ჟურნალისტებთან სტუმრად მოვიდნენ პარტიული, საბჭოთა, პროფკავშირული, კომკავშირული მუშაკები, სამრეწველო საწარმოთა მოწინავენი, მეცნიერებისა და კულტურის მოღვაწენი, მოსწავლე ახალგაზრდობა, თბილისის საზოგადოებრიობის წარმომადგენლები.

საღამო გახსნა საქართველოს კომპარტიის თბილისის საქალაქო კომიტეტის მდივანმა შ. ყარყარაშვილმა.

მოხსენება საბჭოთა პრესის დღის შესახებ გააკეთა საქართველოს ჟურნალისტთა კავშირის გამგეობის თავმჯდომარის მოადგილემ, ჟურნალ „საქართველოს კომუნისტის" რედაქტორმა მ. ბაბუნიძემ.

პრესის მუშაკებს დღესასწაული მიუღოცეს პროფესორმა მ. ლორთქიფანიძემ, თბილისის № 1 სამკვერვალო ფაბრიკის მოწინავე მუშამ, სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს დეპუტატმა ლ. დიქანოსიძემ, თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ფილოლოგიის ფაკულტეტის ჟურნალისტიკის განყოფილების მეორე კურსის სტუდენტმა ბ. ჭიბუშვილმა, გაზეთ „ლენინური ზნაშიას" რედაქტორმა მ. ბოლოვასტიკოვმა.

საღამოს მონაწილეთათვის გაიმართა კონცერტი. (საქდესი).

მეცნიერული კომუნიზმის ფუძემდებელს

5 მაისს, კარლ მარქსის დაბადების 150 წლისთავის დღეს, კომუნისტური პარტიისა და საბჭოთა მთავრობის ხელმძღვანელებმა გვირგვინითა და ყვავილებით შეამკეს მეცნიერული კომუნიზმის გენიალური შემოქმედის ძეგლი, რომელიც აღმართულია სვერდლოვის მოედანზე მოსკოვში.

გვირგვინის ლენტებზე წარწერილია: „კარლ მარქსს — მეცნიერული კომუნიზმის ფუძემდებელს, საერთაშორისო პროლეტარიატის ბელადს სკკპ ცენტრალური კომიტეტისაგან, სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისაგან, სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოსაგან".

გვირგვინი მიიტანეს ამხანაგებმა ლ. ი. ბრეჟნევმა, ნ. ვ. პოდგორნოვმა, ა. ნ. კოსიგინმა, კ. ტ. მაზუროვმა, ნ. ვ. პოდგორნიმ, დ. ს. პოლიანსკიმ, მ. ა. სუსლოვმა, ა. ნ. შელეპინმა, ი. ვ. ანდროპოვმა, ვ. ვ. გრიშინმა, პ. ნ. დემიჩევმა, დ. თ. უსტინოვმა, ი. ვ. კაპიტონოვმა, კ. თ. კატუშევმა, თ. დ. კულაკოვმა, მ. ს. სოლომენცევმა. (საკდესი).

სამეცნიერო სესია

5 მაისს საქართველოს კომპარტიის ცენტრალურ კომიტეტთან არსებული პარტიის ისტორიის ინსტიტუტის სხდომათა დარბაზში გაიმართა საქართველოს კომპარტიის ცენტრალურ კომიტეტთან არსებული პარტიის ისტორიის ინსტიტუტის, საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიისა და თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის გაერთიანებული სამეცნიერო სესია, რომელიც მიეძღვნა მეცნიერული კომუნიზმის ფუძემდებლის, მსოფლიო პროლეტარიატის ბელადის კარლ მარქსის დაბადების 150 წლისთავს.

სესია შესავალი სიტყვით გახსნა რესპუბლიკის მეცნიერებათა აკადემიის პრეზიდენტმა **ა. ალფაიძემ.**

სკკპ ცენტრალურ კომიტეტთან არსებული მარქსიზმ-ლენინიზმის ინსტიტუტის საქართველოს ფილიალის დირექტორმა, ისტორიის მეცნიერებათა დოქტორმა **ვ. მერკვილაძემ** წაიკითხა მოხსენება „კ. მარქსი—მეცნიერული კომუნიზმის ფუძემდებელი".

„კ. მარქსის „კაპიტალის" ისტორიული მნიშვნელობა" — ასე მწყობდა თბილისის უნივერსიტეტის პოლიტიკური ეკონომიის კათედრის გამგის, პროფესორ **ა. ფანცხავას** მოხსენებას.

თბილისის უნივერსიტეტის პროფესორმა, ფილოსოფიის მეცნიერებათა დოქტორმა **ო. ბაკურაძემ** წაიკითხა მოხსენება „კ. მარქსის ფილოსოფია და თანამედროვეობა".

„მარქსიზმის გავრცელება საქართველოში" — ამ თემას მიუძღვნა თავისი გამოსვლა საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის ი. ჯავახიშვილის სახელობის ისტორიის, არქეოლოგიისა და ეთნოგრაფიის ინსტიტუტის უფროსმა მეცნიერმა აკადემიკოსმა, ისტორიის მეცნიერებათა დოქტორმა **ნ. ბახტაძემ.**

(საქდესი).

ამხანაგ მ. ა. სუსლოვის მოხსენება

(გაგრძელება)

გაავრცელა რა მატერიალიზმი ადამიანთა საზოგადოებასა და მის ისტორიაზე, მარქსმა ბოლო მოუღო ქაოსსა და თვითნებობას, რაც სუფევდა საზოგადოებრივი მოვლენების გაგებაში. „მარქსიზმმა, — წერდა ვ. ი. ლენინი, — გვიჩვენა საზოგადოებრივ-ეკონომიური ფორმაციების წარმოშობის, განვითარებისა და დაცემის პროცესის ყოვლისმომცველი, ყოველმხრივი შესწავლის გზა, რადგან იგი განიხილავს ყველა წინააღმდეგობრივი ტენდენციის **ერთობლიობას**, გამოჰყავს ისინი საზოგადოების სხვადასხვა **კლასის** ცხოვრებისა და წარმოების ზუსტად განსაზღვრული პირობებიდან, უკუაგდებს სუბიექტივიზმსა და თვითნებობას ცალკეული „გაბატონებული“ იდეების არჩევასა თუ განმარტებაში, აამაკრავებს უკლებლივ ყველა იდეისა და ყველა სხვადასხვა ტენდენციის **ფესვებს** მატერიალური საწარმოო ძალების მდგომარეობაში“. (ვ. ი. ლენინი. თხზ., ტომი 21, გამოცემა მეოთხე, გვ. 52).

ისტორიის მატერიალისტურმა გაგებამ საშუალება მოგვცა დაგვესაბუთებინა ხალხის მასების და უწინარეს ყოვლისა მუშათა კლასის გადამწყვეტი როლი ისტორიულ პროცესში. როგორც ცნობილია, მარქსამდელი ფილოსოფიის ბევრ წარმომადგენელს მიაჩნდა, რომ ისტორიას ქმნიან მეფეები, მხედართმთავრები, ცალკეული გმირები. ამრიგად, ამახინჯებდა საზოგადოებრივი განვითარების მსვლელობას, შემთხვევითობას უკავშირებდა ხალხებისა და ქვეყნების ბედს, სოციალური პროგრესის ბედს. კ. მარქსმა გვიჩვენა, რომ საზოგადოებრივი ცხოვრების საფუძველი მატერიალური წარმოებაა და ისტორიული ცვლილებანი ხდება, უწინარეს ყოვლისა, წარმოებაში ცვლილებების შედეგად. ხოლო მუშები და გლეხები, რომლებიც საზოგადოების უმნიშვნელოვანეს საწარმოო ძალას წარმოადგენენ, ქმნიან მატერიალურ დოვლათს, ისტორიის ნამდვილი შემოქმედნი არიან.

სწავლობდა რა კლასებად დაყოფილ საზოგადოებათა ისტორიას, მარქსმა გვიჩვენა, რომ ამ საზოგადოებათა განვითარების მამოძრავებელი ძალაა **კლასობრივი ბრძოლა**, რომ ყოველგვარ სოციალურ, პოლიტიკურ და სხვა საზოგადოებრივ ცვლილებებში უნდა ვხედავდეთ უწინარეს ყოვლისა კლასთა ბრძოლას. აღნიშნავდა რა კლასობრივი ბრძოლის შესახებ მარქსისტული მოძღვრების უდიდეს მნიშვნელობას, ვ. ი. ლენინი წერდა: „ადამიანები პოლიტიკაში ყოველთვის იყვნენ და იქნებიან მოტყუებისა და თვითმოტყუების უგუნური მსხვერპლნი, ვიდრე ისინი არ შეიგნებენ იმას, რომ ყოველგვარ ზნეობრივ, რელიგიურ, პოლიტიკურ, სოციალურ ფრაზებსა, განცხადებებსა და დაპირებებში ამა თუ იმ კლასის **ინტერესები** უნდა ეძიონ“. (ვ. ი. ლენინი, თხზ., ტომი 23, გამოც. მეოთხე, გვ. 9).

გამოიყენა რა განვითარების მატერიალისტური დიალექტიკა საზოგადოებრივი ცხოვრების მიმართ, კ. მარქსმა დაამტკიცა კაპიტალისტური წყობილების წარმავალი ხასიათი, მისი დაღუპვის აუცილებლობა. თავისი არსით მარქსისტული თეორია ღრმად კრიტიკული და რევოლუციურია. შემთხვევით როდია, რომ იგი ბურჟუაზიისა და მისი იდეოლოგების გააფთრებას იწვევს. მატერიალისტური დიალექტიკა დაუცხრომელი წინსვლის, განუწყვეტელი განახლებისა და რევოლუციური ნოვატორობის დროშაა.

კ. მარქსმა გადატრიალება მოახდინა პოლიტიკური ეკონომიის დარგში, შექმნა რა ნამდვილად მეცნიერული ეკონომიური თეორია.

მარქსამდელი პოლიტიკური ეკონომიის წარმომადგენლებმა აღწერეს ბურჟუაზიული საზოგადოების ზოგიერთი არსებითი ნიშანი, გააკრიტიკეს მისი მრავალი მანკიერება, მაგრამ ვერ ახსნეს წარმოების კაპიტალისტური წესის განვითარების შინაგანი მექანიზმი, ვერ განმარტეს მისი წინააღმდეგობანი და კაპიტალიზმი მიაჩნდათ საზოგადოების მარადიულ, „ბუნებრივ“ მდგომარეობად.

ზედმეტი ღირებულების მოძღვრების შექმნით კ. მარქსმა გამოამჟღავნა კაპიტალისტური ექსპლოატაციის საიდუმლოება, გააშიშვლა კაპიტალისტური საზოგადოების შინაგანი მექანიზმი, ვერ ახსნა კაპიტალისტური წესის ისტორიული ბედი, ვერ ასახა ეპოქა, ეპოქა ... ეტაპები. მარქსი იყო I ინტერნაციონალის — მუშათა საერთაშორისო ამხანაგობის დამაარსებელი და ნამდვილი ბელადი, ყველაზე დიდმნიშვნელოვანი მისი დოკუმენტების ავტორი. მარქსმა და ენგელსმა ხელი შეუწყეს მუშათა მოძრაობის გადასვლას სტიქიური მოძრაობიდან ბრძოლის შეგნებულ ფაზაში. მათი ერთობლივი მეცადინეობის შედეგად მარქსიზმისა და მუშათა მოძრაობის შეერთების პროცესი მათ სიცოცხლეშივე ფართოდ განვითარდა.

მარქსისტული თეორიის არსებობის საუკუნეზე მეტი ხნის განმავლობაში მის გარშემო ჩაღდებოდა და ჩაღდება დაძაბული იდეოლოგიური ბრძოლა. ბურჟუაზია დიდხანს დუმილით უვლიდა გვერდს მარქსისტულ თეორიას, შემდეგ კი დაიწყო მისი უარყოფა და წარუმატებლად ცდილობს ამას უკვე მრავალი ათეული წელია. მისი იდეოლოგები ამტკიცებენ, რომ კ. მარქსის თეორია მოძველდა, რომ კაპიტალიზმი სულ სხვა გზით განვითარდა. ასობით წიგნი დაიწერა იმაზე, რომ თანამედროვე კაპიტალიზმი ვერ თავსდება მარქსისტულ კონცეპციებში, რომ დასავლეთის ცივილიზაციის მიმართ მარქსიზმის გამოყენება საერთოდ შეუძლებელია. შეიქმნა და უსახელოდ გაჭრა სხვადასხვა „ანტიკომუნისტური მანიფესტები“, რომელთა ერთადერთი დანიშნულება ის იყო, რომ შეელამაზებინათ და დაეცვათ კაპიტალიზმი, უარეყოთ მარქსი, „მოესპოთ“ მარქსიზმი ან ყოველ შემთხვევაში შეესუსტებინათ მისი გავლენა, შეეფერხებინათ მისი გავრცელება. მაგრამ, როგორც ვ. ი. ლენინი წერდა, ყოველი ასეთი „მოსპობის“ შემდეგ მარქსიზმი სულ უფრო ფართოდ და ღრმად მკვიდრდება ხალხის მასებში, „...უფრო მტკიცე, უფრო გამოწრთობილი და უფრო სიცოცხლისუნარიანი ხდება“. (ვ. ი. ლენინი. თხზ., ტ. 15, გვ. 22).

კ. მარქსის იდეური მემკვიდრეობის გარშემო დაძაბული ბრძოლა მიმდინარეობდა და მიმდინარეობს მუშათა მოძრაობაშიც. როგორც ცნობილია, მარქსიზმზე პირველი დიდი რეფორმისტული იერიში მიიტანეს ბერნშტეინიანელებმა. რამდენიმე ხნის შემდეგ შემოქმედებითი მარქსიზმის წინააღმდეგ რეფორმისტული პოზიციებიდან გაილაშქრა II ინტერნაციონალის ბელადების უმრავლესობამ. ოქტომბრის რევოლუციის შემდეგ აშკარა რევიზიონისტულ პოზიციებს დაადგა მთელი შემარჯვენე სოციალ-დემოკრატია, რომელმაც არსებითად უარი თქვა კლასობრივი ბრძოლის, სოციალისტური რევოლუციისა და პროლეტარიატის დიქტატურის მარქსისტულ მოძღვრებაზე.

არსებობს მარქსიზმ-ლენინიზმის დაცვისათვის ბრძოლის მეორე ფრონტიც—რევოლუციური თეორიის სხვადასხვაგვარ „შემარცხენე“ — ოპორტუნისტულ დამახინჯებათა დაძლევა, ბრძოლა „მემარცხენე **რევიზიონიზმთან,**“ წვრილბურჟუაზიულ რევოლუციონარიზმთან“. მარქსიზმ-ლენინიზმის „შემარცხენული რევიზიის“ ფორმებიც მრავალსახოვანი და მრავალფეროვანია. ტროცკისტები, მაგალითად, თავის დროზე, „მემარცხენული“ ფრაზით ნიღაბვდნენ თავიანთ კაპიტულანტობასა და საბჭოთა რესპუბლიკის შინაგანი ძალებისადმი ურწმენობას, გაჰყვიროდნენ მსოფლიო რევოლუციაზე, იმპერიალიზმის ერთდროულად დამხობაზე ყველა ქვეყანაში, ბოლოს კი მივიდნენ ანტისოვეტიზმამდე და ყველაზე რეაქციულ ძალებთან თანამშრომლობამდე. მარქსიზმის ცრუ მემარცხენულ-ავანტიურისტული დამახინჯების უხეში გამოხატულებაა მაო ძე-დუნის ჯგუფის საქმიანობა. მან იმით დაიწყო, რომ გაუვიროდა მარქსისტული თეორიის „დაცვაზე“ „კომუნისტური მოძრაობის რევიზიონისტული უმრავლესობისაგან“, საქმით კი უკუაგდო მარქსისტულ-ლენინური მოძღვრება, დაადგა წვრილბურჟუაზიული ნაციონალიზმისა და შოვინიზმის პოზიციებს და უმაღლეს ჭეშმარიტებად გამოაცხადა მაო ძე-დუნის ციტატების კრებული.

კომუნისტურ და მუშათა პარტიებს თავიანთ უმნიშვნელოვანეს მოვალეობად მიაჩნიათ კოლექტიურად იბრძოლონ მარქსისტულ-ლენინური თეორიის დაცვისა და მისი შემოქმედებითი განვითარებისათვის.

მარქსიზმ-ლენინიზმი კომუნისტური საზოგადოების მშენებლობის მეცნიერული საფუძველია

დიდი ოქტომბრის სოციალისტური რევოლუცია, რომელმაც ახალი ეპოქა დაიწყო კაცობრიობის ცხოვრებაში, მარქსიზმ-ლენინიზმის ტრიუმფი იყო. ვ. ი. ლენინის მეთაურობით ბოლშევიკური პარტიის ხელმძღვანელობით განხორციელებულმა ოქტომბრის რევოლუციამ დაადასტურა მარქსისტულ-ლენინური თეორიის სისწორე და დასაბამი მისცა ამ თეორიის პრაქტიკულ შესრულებას ახალი საზოგადოების მშენებლობის საქმეში.

ჩვენი პარტიის ბელადმა, საბჭოთა სახელმწიფოს დამაარსებელმა, გენიალურმა მოაზროვნემ ვ. ი. ლენინმა შემოქმედებითად განავითარა მარქსისტული მოძღვრება შეცვლილი ისტორიული პირობების შესაბამისად, აიყვანა იგი ახალ, უმაღლეს ეტაპზე. ვ. ი. ლენინმა გააღრმავა და პრაქტიკულად განახორციელა მარქსიზმის უმნიშვნელოვანესი იდეები სოციალისტური რევოლუციის, პროლეტარიატის დიქტატურის, პარტიის ხელმძღვანელი როლის, მუშათა კლასის შესახებ, შეიმუშავა სოციალისტური საზოგადოების მშენებლობისა და კომუნიზმზე გადასვლის ძირითადი პრობლემები.

ლენინის ისტორიული დამსახურება ის არის, რომ მან ყოველმხრივ გამოაჩინა იმპერიალიზმის თავისებურებანი და მისი განვითარების კანონზომიერებანი, დამაჯერებლად დაამტკიცა, რომ „კაპიტალისტური იმპერიალიზმის ეპოქა — ესაა ეპოქა მომწიფებული და გადამწიფებული კაპიტალიზმისა, რომელიც თავისი დამსხვრევის წინაშე დგას, მომწიფებულისა იმდენად, რომ სოციალიზმს დაუთმოს ადგილი“ (ვ. ი. ლენინი. თხზ., ტ. 22, გვ. 127).

ავითარებდა რა მარქსის მოძღვრებას, ლენინმა შეიმუშავა მთლიანი მოძღვრება ახალი ტიპის პარტიის — მარქსისტული რევოლუციური პარტიის, მისი ხელმძღვანელი როლის, მისი ორგანიზაციული, იდეოლოგიური, ტაქტიკური და თეორიული საფუძვლების შესახებ. ლენინს მიაჩნდა, რომ სოციალიზმის გამარჯვებისათვის ბრძოლაში მუშათა კლასის გამარჯვების პირველი და მთავარი პირობა ის არის, რომ მას ჰყავდეს თავისი მარქსისტული პარტია. მხოლოდ ამ პირობით არის მუშათა კლასი მრისხანე უძლეველი ძალა. თავის იდეებს მარქსისტული პარტიის შესახებ ლენინმა რეალურად შეასხა ხორცი იმით, რომ შექმნა საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტია.

მარქსიზმ-ლენინიზმის მტკიცე მეცნიერულ საფუძველზე შექმნილი კომუნისტური პარტია დიდი ლენინის უშუალო ხელმძღვანელობით ყოველმხრივ მომზადდა რევოლუციის ბელადისა და სოციალისტური და კომუნისტური მშენებლობის ორგანიზატორის ისტორიული მისიის შესასრულებლად.

რაზმავდა რა მასებს რევოლუციისათვის, პარტია ხელმძღვანელობდა ლენინის გენიალური დასკვნით იმის შესახებ, რომ იმპერიალიზმის პირობებში შესაძლებელია სოციალისტური რევოლუცია და სოციალიზმის აშენება თავდაპირველად რამდენიმე ან თუნდაც ერთ, ცალკე აღებულ ქვეყანაში. ლენინის ამ აღმოჩენამ ფართო პერსპექტივები დაუსახა მთელი მსოფლიოს კომუნისტურ და მუშათა პარტიებს მათს რევოლუციურ ბრძოლაში.

საერთაშორისო რევოლუციური მოძრაობისათვის უდიდესი მნიშვნელობა აქვს მარქსისა და ლენინის მოძღვრებას პროლეტარიატის დიქტატურის შესახებ. კ. მარქსმა, შემდეგ კი ვ. ი. ლენინმა ამომწურავი სიცხადით დაამტკიცეს, რომ გარდამავალი პერიოდის სახელმწიფო, რომელიც კაპიტალიზმსა და სოციალიზმს შორის არის, სხვა არა იქნება რა, თუ არა პროლეტარიატის რევოლუციური დიქტატურა, ამასთან ხაზს უსვამდნენ, რომ შესაძლებელია მრავალნაირი იყოს მისი სახელმწიფოებრივი ფორმები. კ. მარქსის მოძღვრების შემოქმედებით განვითარებაში ლენინის დიდი დამსახურება ის იყო, რომ აღმოაჩინა საბჭოები როგორც ახალი ტიპის სახელმწიფო. მარქსიზმის მოძღვრებაში თვალსაჩინო წვლილია ლენინის დასკვნა იმის შესახებ, რომ პროლეტარიატის დიქტატურის უმაღლესი პრინციპია მუშათა კლასისა და გლეხობის, მშრომელი მასების კავშირი.

ლენინმა ყოველმხრივ დაამუშავა საკითხი პროლეტარიატის დიქტატურის ხასიათისა და ამოცანების, პროლეტარული დემოკრატიის, როგორც დემოკრატიის უმაღლესი ფორმის შესახებ. პროლეტარიატის დიქტატურა კაპიტალისტებს, მემამულეებსა და მათს ხელშემწყობთ ართმევს იმ „თავისუფლებას“, რომ ჰქონდეთ ფაბრიკები, ქარხნები და ექსპლოატაციას უწევდნენ მშრომელებს, „თავისუფლებას“, რომ განაგებდნენ პრესას, რადიოსა და პროპაგანდის სხვა საშუალებებს, რომლებსაც იყენებენ მასების გასაბრუებლად, „თავისუფლებას“, რომ იბრძოდნენ კაპიტალის ძალაუფლების აღდგენისათვის და „თავისუფლებას“, რომ კავშირი ჰქონდეთ უცხოეთის ბურჟუაზიასთან ამ ანტიხალხური მიზნებისათვის. აწარმოებს რა გადამწყვეტ ბრძოლას სოციალიზმის მტრებისა და მათი აგენტების და ლაქიების წინააღმდეგ, პროლეტარიატის დიქტატურა, გვასწავლის ლენინი, ამასთანავე ნიშნავს დემოკრატიის უდიდეს გაფართოებას, ნიშნავს პროლეტარულ დემოკრატიას, დემოკრატიას მშრომელებისათვის, ესე იგი მოსახლეობის დიდი უმრავლესობისათვის, და ამასთან არა ფორმალურ დემოკრატიას, არამედ რეალურ დემოკრატიას, რომლის პირობებში მუშები, გლეხები, ყველა მშრომელი თავისი ქვეყნის და მის მატერიალურ და სულიერ სიმდიდრეთა ბატონ-პატრონნი არიან. ამიტომ პროლეტარული დემოკრატია მილიონჯერ უფრო დემოკრატიულია, ვიდრე ყოველი ბურჟუაზიული დემოკრატია.

სოციალიზმის გამარჯვება იწვევს ღრმა ცვლილებებს საზოგადოების პოლიტიკურ ცხოვრებაში. პროლეტარიატის დიქტატურის სახელმწიფო გადაიზრდება მთელი ხალხის პოლიტიკურ ორგანიზაციად მუშათა კლასის მეთაურობით, რასაც მოსდევს სოციალისტური დემოკრატიზმის შემდგომი განვითარება, გაღრმავება და სრულყოფა. ნამდვილი დემოკრატიზმი გამომდინარეობს სოციალისტური წყობილების მთელი არსიდან.

მსოფლიოში პირველი კომუნისტური საზოგადოების მშენებლობის საქმეში გზისმანათობელი ვარსკვლავია მეცნიერული კომუნიზმის თეორია, რომელიც შეიმუშავა კ. მარქსმა და შემდეგ განავითარა ვ. ი. ლენინმა. ამ თეორიამ მოგვცა კაცობრიობის განვითარების მეცნიერულად დასაბუთებული პროგნოზი.

ღრმად შეისწავლა რა კაპიტალისტური საზოგადოებრივი ფორმაცია, აკვირდებოდა რა ამ ფორმაციის განვითარების ტენდენციებს, მარქსი ამასთანავე გენიალური შორსმჭვრეტელობით გვიხატავს იმ მომავალი საზოგადოების დიდმნიშვნელოვან კონტურებს, რომელმაც კაპიტალიზმი უნდა შეცვალოს. ამასთან, როგორც ლენინი ამბობდა, მარქსი ოდნავაც არ ცდილობს შეთხზას უტოპიები. მარქსი, როგორც ჭეშმარიტი მეცნიერი, აყენებს საკითხს კომუნიზმის შესახებ „იმ საფუძველზე, რომ იგი **წარმოდგება** კაპიტალიზმიდან, ისტორიულად ვითარდება კაპიტალიზმიდან, შედეგია ისეთი საზოგადოებრივი ძალის მოქმედებისა, რომელიც კაპიტალიზმმა **წარმოშვა**“ (ვ. ი. ლენინი, თხზულებანი, ტომი 25, გვ. 569.)

კ. მარქსმა განჭვრიტა, რომ კაპიტალიზმიდან კომუნიზმზე გადასვლა მოხდება სამ ობიექტურად განპირობებულ, ისტორიულად კანონზომიერ ეტაპად: გარდამავალი პერიოდი, სოციალისტური ფაზა, კომუნისტური ფაზა. მარქსი ხაზს უსვამდა, რომ ერთი ფაზიდან მეორეზე გადასვლა განისაზღვრება უწინარეს ყოვლისა საწარმოო ძალების განვითარებითა და წარმოებითი ურთიერთობის სრულყოფით. მან გააკრიტიკა თეორიული და პრაქტიკული უსაფუძვლობა ყოველგვარი იმ ცდისა, რომ „დაარჩარონ“ ისტორია, გადაახტნენ ისტორიულად აუცილებელ ეტაპებს, აგრეთვე უარზომული კომუნიზმის ტიპის გაუბრალოებული კონცეპციები.

დიდად აფასებდა რა მარქსის თეორიულ დასკვნებს გარდამავალი პერიოდის შესახებ, კომუნიზმისა და მისი განვითარების ფაზების შესახებ, ვ. ი. ლენინმა შემდგომ განავითარა ისინი. ეყრდნობოდა რა მარქსის იდეებსა და საბჭოთა სახელმწიფოს პრაქტიკულ გამოცდილებას, ლენინმა უაღრესი სიცხადით და სიღრმით გააშუქა სოციალიზმის მშენებლობის გზები. სოციალიზმმა, გვასწავლიდა ლენინი, შეიძლება გაიმარჯვოს მხოლოდ თანამედროვე მოწინავე ტექნიკის, მძლავრი სოციალისტური მრეწველობისა და შრომის მაღალი ნაყოფიერების უზრუნველყოფის ბაზაზე.

ეყრდნობოდა რა მარქსის აგრარულ თეორიას და ავითარებდა რა მას, ვ. ი. ლენინმა შეიმუშავა გენიალური გეგმა, რომ აზიაროს გლეხობა სოციალიზმს კოოპერაციის საშუალებით. ამ გეგმის შესაბამისად საბჭოთა კავშირში პირველად ისტორიაში გადაიჭრა ურთულესი გლეხთა საკითხი და ხდება სოფლის მთელი ცხოვრების წყობის ძირეული გარდაქმნა.

უდიდესი მნიშვნელობა აქვს კულტურის დარგში სოციალისტურ გარდაქმნათა უფართოეს გეგმას, რომელიც ლენინმა დაასაბუთა და რომელიც ითვალისწინებს მასების უწიგნურობის ლიკვიდაციას, იმას, რომ აზიაროს ისინი ცოდნას, მეცნიერებისა და კულტურის მიღწევებს, ითვალისწინებს სახალხო ინტელიგენციის შექმნას, სულიერი მემკვიდრეობის კრიტიკულ ათვისებასა და გადამუშავებას, კომუნისტური იდეების დამკვიდრებას აღზრდის, მოსახლეობის კულტურულ-ტექნიკურ დონეს, ზნე-ჩვეულებების დარგში.

მარქსისტულ-ლენინური მოძღვრების შესაბამისად სსრ კავშირში აშენდა **კომუნისტური ფაზა — სოციალიზმი.** სოციალისტურ ფაზას აქვს სიმწიფის თავისი საფეხურები იმის მიხედვით, თუ როგორია საწარმოო ძალების განვითარების, წარმოებითი ურთიერთობის სრულყოფის დონე, კონკრეტულ-ისტორიული ვითარება. ამასთან სოციალიზმის მსოფლიო სისტემის არსებობა ქმნის წანამძღვრებს საზოგადოების სოციალისტური ორგანიზაციის ფორმების სულ უფრო მეტი მრავალგვარობისათვის. მაგრამ ყველა პირობებში სოციალიზმის დამახასიათებელი ნიშნებია: განვითარებული საწარმოო ძალების არსებობა, წარმოების საშუალებათა საზოგადოებრივი საკუთრების ბატონობა, ექსპლოატატორული კლასებისა და ადამიანის მიერ ადამიანის ექსპლოატაციის არარსებობა, კლასებს შორის განსხვავებათა და ზღვართა წაშლის პროცესი, საზოგადოებრივი წარმოების გეგმაზომიერი განვითარება მშრომელთა კეთილდღეობის სისტემატური გაუმჯობესების მიზნით, მუშათა კლასის ხელმძღვანელი როლი მარქსისტულ-ლენინური პარტიის მეთაურობით, ღრმა და ყოველმხრივი დემოკრატია, ადამიანთა სოციალური, ეროვნული, პოლიტიკური თანასწორობა, საზოგადოების სულიერი აყვავება.

სოციალიზმის, როგორც კომუნიზმის პირველი ფაზის, ერთ-ერთი ყველაზე დამახასიათებელი თავისებურებაა, როგორც ცნობილია, მატერიალური დოვლათის განაწილება მშრომელებში შრომის რაოდენობისა და ხარისხის შესაბამისად პრინციპით „თითეულისაგან — უნარის მიხედვით, თითეულს — შრომის მიხედვით“. სოციალიზმის პირობებში არ არის ადამიანის მიერ ადამიანის ექსპლოატაცია, მაგრამ ჯერ კიდევ რჩება გარკვეული უთანასწორობა ადამიანთა შორის საზოგადოებისაგან მატერიალური ანაზღაურების მიღების დროს. მარქსი ხაზგასმით აღნიშნავდა, რომ ეს ნაკლი გარდუვალია „...კომუნისტური საზოგადოების პირველ ფაზაში, როდესაც იგი ეს არის წარმოიშვა კაპიტალისტური საზოგადოებიდან შობიარობის ხანგრძლივი ტკივილების შემდეგ“. (კ. მარქსი და ფ. ენგელსი, რჩეული ნაწერები, ტომი 2, გვ. 19).

სოციალიზმი კომუნისტური საზოგადოების განვითარების ხანმოკლე ეტაპი კი არა, მთელი ისტორიული ხანაა. სოციალიზმის ეკონომიური კანონები და მისი უპირატესობანი ყველაზე სრულად ვლინდება მომწიფებულ სოციალისტურ საზოგადოებაში. სოციალიზმის სოციალურ-ეკონომიურ შესაძლებლობათა და მოთხოვნათა სრული და ყოველმხრივი რეალიზაცია უზრუნველყოფს თანდათანობითს, კანონზომიერ, ბუნებრივ გადასვლას კომუნიზმზე. კომუნიზმისაკენ მიმავალი ერთადერთი გზაა სოციალიზმის სრული გამარჯვება. სხვა გზა არ არის.

ყველა ქვეყნისათვის ერთნაირი როდია სოციალისტურ ამოცანათა გადაწყვეტის ვადები და განსაკუთრებით მომწიფებული სოციალიზმის ჩამოყალიბების ვადები, რომელსაც აქვს შესაბამისი მატერიალურ-ტექნიკური ბაზა და განვითარებული საზოგადოებრივი ურთიერთობა. იმ ქვეყნებისათვის, რომლებიც ეკონომიურად განვითარებული იყვნენ, როცა ახალ გზას დაადგნენ, შედარებით ადვილია სოციალიზმის აშენება. ქვეყნებმა, რომლებსაც სოციალისტური ურთიერთობის დასაწყისში განუვითარებელი მატერიალურ-ტექნიკური ბაზა ჰქონდათ, უნდა განვლონ უფრო დიდი ისტორიული გზა და გადაჭრან მეტი პრობლემა.

ამრიგად, მეცნიერული კომუნიზმის თეორია, რომელიც გაამდიდრა საბჭოთა კავშირისა და სხვა სოციალისტური ქვეყნების გამოცდილებამ, მეცნიერული საფუძველია გიგანტური სოციალისტური გარდაქმნებისა, რომლებიც დღეს გაიშალა პლანეტის სამ კონტინენტზე. ეს თეორია პრაქტიკულად განხორციელდა სოციალიზმის მსოფლიო სისტემაში, რომელსაც ყველა თვალსაზრისით — ეკონომიური, სოციალური, პოლიტიკური, სულიერი თვალსაზრისით — აქვს ძირეული უპირატესობანი კაპიტალისტურთან შედარებით.

სოციალისტური ქვეყნების კომუნისტურ და მუშათა პარტიებს შეაქვთ თავიანთი წვლილი სოციალისტური საზოგადოების ორგანიზაციის თეორიასა და პრაქტიკაში. საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტია მეგობრულად უზიარებს თავის გამოცდილებას სხვა მარქსისტულ-ლენინურ პარტიებს და ამავე დროს ყურადღებით სწავლობს მოძმე პარტიების კოლექტიურ გამოცდილებას, იყენებს მას პოლიტიკურ, ეკონომიურ და კულტურულ მშენებლობაში.

მარქსისტულ-ლენინური თეორიის შემოქმედებითი გამოყენება ამა თუ იმ ქვეყანაში მოითხოვს კონკრეტულ-ისტორიული პირობების სრულ გათვალისწინებას. ... ეროვნულ-ისტორიული პირობების ... სოციალისტური ცხოვრების პრინციპები საერთოა. როგორც გამოცდილება ცხადყოფს, არ არსებობს სოციალიზმის ისეთი ფორმები, რომლებიც უარყოფენ საერთო პრინციპებს.

საბჭოთა ხალხმა საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ხელმძღვანელობით განვლო დიადი ისტორიული გზა. მან მოახდინა ექსპლოატატორული კლასების ლიკვიდაცია, შექმნა მშრომელთა საზოგადოება. სოციალიზმი. ამით მიღწეულ იქნა სრული გარანტია, რომ ჩვენს ქვეყანაში აღარ მოხდებოდა კაპიტალიზმის რესტავრაცია. ჩვენ შევქმენით მძლავრი სახელმწიფო, განვამტკიცებთ მეგობრობას სოციალისტურ ქვეყნებთან, ვახორციელებთ მშვიდობისმოყვარულ საგარეო პოლიტიკას და ამით აგრეთვე მოვიპოვეთ გარანტია, რომ აღარ მოხდება კაპიტალიზმის რესტავრაცია, მსოფლიო ასპარეზზე ძალთა თანაფარდობის თვალსაზრისით. სსრ კავშირში სოციალიზმის გამარჯვება სრული და საბოლოოა.

სსრ კავშირში სოციალიზმის აშენება ჩვენი მუშათა კლასის, კოლმეურნე გლეხობის, ინტელიგენციის, მთელი საბჭოთა ხალხისა და მისი ავანგარდის — კომუნისტური პარტიის დიადი, მსოფლიო-ისტორიული დამსახურებაა მთელი კაცობრიობის წინაშე. საბჭოთა ხალხის მეცადინეობითა და გენიით განხორციელდა დიადი გეგმა, რომელიც მარქსმა და ლენინმა დასახეს.

ისეთი განვითარებული სოციალისტური საზოგადოების ქმნადობის პროცესი, რომელიც სავსებით ავლენებს თავის უპირატესობებს, ჩვენს ქვეყანაში ხასიათდებოდა არსებითი თავისებურებებით და დაკავშირებული იყო სერიოზულ სიძნელეთა დაძლევასთან. ჩვენ მოგვიხდა ურთულესი ამოცანების გადაწყვეტა, ახალი საზოგადოების აშენება, ჩვენი ქვეყნის თავდაცვითი ძლიერების განმტკიცება, რევოლუციის მონაპოვართა დაცვა იმპერიალიზმისაგან და ამავე დროს ეროვნული და ინტერნაციონალური მოვალეობის შესრულება. ამ ამოცანების გადაწყვეტისას მოგვიხდა დიდი მსხვერპლის გაღება, რათა გაგვმარჯვნა საერთაშორისო და სამინაო რეაქციის წინააღმდეგ გაფთრებულ ბრძოლაში. ცნობილია, რომ ჩვენი ქვეყნის მშრომელებმა გაუძლეს ძველი სამყაროს შემოტევას და დაამარცხეს მთელი მისი ძალები, რომლებიც ამხედრდნენ ოქტომბრის რევოლუციისა და ახალგაზრდა საბჭოთა რესპუბლიკის წინააღმდეგ — მსოფლიო იმპერიალიზმი და რევოლუციით დამხობილი ექსპლოატატორთა კლასები იყო ეს თუ სოციალიზმის რენეგატები — მენშევიკები, ესერები, ბურჟუაზიული ნაციონალისტები. საბჭოთა ხალხმა აგრეთვე გადაიტანა მთავარი სიმძიმე დიდი სამამულო ომისა ჰიტლერული ურდოების — იმპერიალიზმის დამკვრელი რაზმების წინააღმდეგ.

და დღეს საბჭოთა ხალხი შეუნელებელ ყურადღებას უთმობს ჩვენი ქვეყნის თავდაცვისუნარიანობის გახმტკიცებას ძვირფასია და სოციალიზმის დაცვის ინტერესებისათვის. უდიდესი კმაყოფილების გრძნობით შეგვიძლია ვთქვათ, რომ ჩვენს სამშობლოს ჰყავს გამოწრთობილი და პარტიისა და ხალხის უსაზღვროდ ერთგული შეიარაღებული ძალები, რომლებიც საიმედოდ იცავენ სოციალიზმის მონაპოვრებს და მუდამ მზად არიან შემუსრონ ყოველი აგრესორი.

საბჭოთა ხალხის განუწყვეტელ მზარდი წარმატებანი ომისშემდგომ პერიოდში საშუალებას გვაძლევენ ყოველი წინგადადგმული ნაბიჯის კვალობაზე სულ უფრო სრულად, ღრმად და მკაფიოდ გამოვავლინოთ სოციალიზმის შესაძლებლობანი საზოგადოებრივი ცხოვრების ყველა დარგში. და ჩვენი წინსვლის კვალობაზე საბჭოთა საზოგადოების თვითეული წევრი სულ უფრო სრულად გრძნობს სოციალისტური წყობილების დიად უპირატესობებს.

ამჟამად საბჭოთა ხალხი ახორციელებს კომუნიზმის გაშლილ მშენებლობას. კომუნისტური ფაზის კონტურები ჯერ კიდევ მარქსმა და ლენინმა განსაზღვრეს.

კომუნისტური ფაზა იწყება სოციალიზმის ფარგლებში ეკონომიური, სოციალური და სულიერი წანამძღვრების მომწიფების ხანგრძლივი პერიოდის შემდეგ, „...მას შემდეგ, წერდა კ. მარქსი, — რაც გაქრება ინდივიდთა მონური დაქვემდებარება შრომის დანაწილებისადმი; როდესაც ამასთან ერთად გაქრება გონებრივი და ფიზიკური შრომის დაპირისპირება; როდესაც შრომა იქნება არა მარტო ცხოვრების საშუალება, არამედ — თვით გადაიქცევა პირველ სასიცოცხლო მოთხოვნილებად; როდესაც ინდივიდთა ყოველმხრივ განვითარებასთან ერ-

(გაგრძელება მე-3 გვ.).

 კომუნისტი
მე-2 გვერდი, ორშაბათი,
6 მაისი, 1968 წ.

ამხანაგ მ. ა. სუსლოვის მოხსენება

(გაგრძელება)

თად საწარმოო ძალებიც გაიზრდება და საზოგადოებრივი სიმდიდრის ყველა წყარო უხვად გადმოდინდება, — მხოლოდ მაშინ შეიძლება სრულად გადალახულ იქნეს ბურჟუაზიული უფლების ვიწრო ჰორიზონტი და საზოგადოებამ თავის დროშას წააწეროს: თითოეულისაგან — უნარის მიხედვით, თითოეულს — მოთხოვნილების მიხედვით!“ (იქვე, გვ. 20).

ხელმძღვანელობს **რა მარქ**სისა და ენგენის **დიადი იდეებით**, ჩვენი პარტია **კვალავს** ახალ გზებს რევოლუციურ თეორიასა და პრაქტიკაში. ახლა ჩვენ უფრო ნათლად გვაქვს წარმოდგენილი, რა გზით უნდა ვიაროთ კომუნიზმისაკენ, რა პრობლემები და სიძნელეები წამოიჭრება ჩვენს წინაშე, და დაჟინებით ვეძებთ ამ პრობლემათა გადაჭრის მეთოდებსა და საშუალებებს. კომუნიზმში სოციალიზმის თანდათანობით გადაზრდის პრობლემები საფუძვლიანად დამუშავებულია პარტიის პროგრამასა და სკკპ XXIII ყრილობის გადაწყვეტილებებში. ამ საპროგრამო დოკუმენტებსა და სკკპ ცენტრალური კომიტეტის პლენუმების გადაწყვეტილებებში დასახულია ღონისძიებანი, რომლებიც უზრუნველყოფენ ჩვენი საზოგადოების წინსვლას კომუნისტური მშენებლობის გზით.

კომუნიზმის მშენებლობისათვის შემოქმედებითს მუშაობაში მთავარი ის არის, რომ ყოველი ღონისძიებით ვავითარებდეთ საწარმოო ძალებსა და სრულვყოფდეთ წარმოებითს ურთიერთობას, ვქმნიდეთ კომუნიზმის მატერიალურ-ტექნიკურ ბაზას. მეცნიერებისა და ტექნიკის მიღწევათა ფართო გამოყენების, მთელი საზოგადოებრივი წარმოების ინდუსტრიული განვითარების, მისი ეფექტიანობის გადიდებისა და შრომის ნაყოფიერების ზრდის საფუძველზე უნდა უზრუნველვყოთ მრეწველობის შემდგომი მძლავრი ზრდა და სოფლის მეურნეობის განვითარების სწრაფი მყარი ტემპები, რაც შესაძლებლობას მოგვცემს სულ უფრო სრულად ვაკმაყოფილებდეთ ყველა საბჭოთა ადამიანის მატერიალურ და კულტურულ მოთხოვნილებებს.

სოციალისტური წარმოებითი ურთიერთობა დიდ გასაქანს აძლევს საწარმოო ძალების განვითარებას. მაგრამ საწარმოო ძალების განვითარების კვალობაზე უნდა სრულვყოფდეთ წარმოებითს ურთიერთობას, რაც ხორციელდება არა სტიქიურად, არამედ მიზანდასახულად, პარტიისა და სახელმწიფოს ხელმძღვანელობით. სსრ კავშირში თანამედროვე სოციალისტური წარმოების მოთხოვნილებანი, რომლებიც დაკავშირებულია მეცნიერულ-ტექნიკურ პროგრესთან, ობიექტური აუცილებლობა უფრო ფართო გაქანება მივცეთ სოციალიზმის ეკონომიური კანონების მოქმედებას, მოითხოვენ შესაბამის ცვლილებებს წარმოებითს ურთიერთობასა და მართვის ფორმებში. ამის შესაბამისად პარტიამ, რომელიც შემოქმედებითად იყენებს მარქსიზმ-ენინიზმს, დასახა და ახორციელებს დიდ სამეურნეო-ეკონომიურ ღონისძიებებს.

სამეურნეო ხელმძღვანელობის ახალ მეთოდებს საფუძველად უდევს სახალხო მეურნეობის ერთიანი სახელმწიფო გეგმიანი ხელმძღვანელობისა და საწარმოთა ეკონომიური დამოუკიდებლობისა და სამეურნეო ინიციატივის, აგრეთვე სოციალისტური შეჯიბრების ყოველი ღონისძიების განვითარებისა და მორალური და ეკონომიური სტიმულების სისტემის გამოყენების შეხამება.

კ. მარქსმა და ვ. ი. ენენმა გამოამჟღავნეს სოციალიზმის უმნიშვნელოვანესი ობიექტური კანონების და უწინარეს ყოვლისა გაფართოებული კვლავწარმოების, სახალხო მეურნეობის გეგმაზომიერი განვითარების, შრომის მიხედვით განაწილების კანონების, ღირებულების კანონის მოქმედება. ამ კანონებისა და სოციალიზმის დროს მოქმედი სხვა კანონების გამოყენება საშუალებას გვაძლევს ნამდვილად შეგნებულად, მეცნიერულად დასაბუთებულად, გეგმიანად ვუხელმძღვანელოთ ჩვენი ქვეყნის ყველა ეკონომიურ პროცესს.

კვლავწარმოების, დაგეგმვის პრობლემებს კ. მარქსი განიხილავდა შრომითი რესურსების რაციონალური გამოყენების, სამუშაო დროის ეკონომიის თვალსაზრისით. მარქსი წერდა, რომ „...დროის ეკონომია, ისევე როგორც სამუშაო დროის გეგმაზომიერი განაწილება წარმოების სხვადასხვა დარგში პირველი ეკონომიური კანონია კოლექტიური წარმოების საფუძველზე. ეს გაცილებით უფრო მეტადაც ხდება კანონი“. (კ. მარქსისა და ფ. ენგელსის არქივი. პარტ. გამომცემლობა, 1935, ტომი IV, გვ. 119, რუს.).

სამეურნეო ხელმძღვანელობის სრულყოფა, დაგეგმვის მეცნიერული დონის ამაღლება, ისეთი ეკონომიური კატეგორიების საქონლო-ფულადი ურთიერთობის სწორი გამოყენება, როგორიც არის მოგება, რენტაბელობა, სამეურნეო ანგარიში, შრომის მატერიალური და მორალური სტიმულების განვითარება როგორც ქვეყნის მასშტაბით, ისე ცალკეული დარგების, საწარმოების ფარგლებში, შესაძლებლობას გვაძლევს მნიშვნელოვნად ავამაღლოთ წარმოების ეფექტიანობა, მივაღწიოთ მაქსიმალურ შედეგებს წარმოების ყველა ელემენტის ეკონომიით.

წარმოებისა და განაწილების ორგანიზაციაში ეკონომიური მეთოდებისა და სამეურნეო ანგარიშის ფორმების სულ უფრო ფართოდ გამოყენების კურსი ერთ-ერთი დიდმნიშვნელოვანი შემადგენელი ნაწილია ეკონომიური რეფორმისა, რომელსაც ჩვენ ვახორციელებთ. ამასთან დაკავშირებით ბურჟუაზიულმა პროპაგანდამ მოაზღვავა მთელი ნაკადი დეზინფორმაციისა და ცილისწამებისა, თითქოს სოციალიზმის კრიზისი ხდებოდეს და სსრ კავშირი და სხვა სოციალისტური ქვეყნები მეურნეობის კაპიტალისტური გაძღოლის რელსებს უბრუნდებოდნენ. ამ პროპაგანდაში არაფერი არ არის, გარდა ღვარძლიანი მონაჭორისა.

სასაქონლო-ფულადი ურთიერთობის გამოყენებას სოციალისტურ ქვეყნებში თავს ესხმიან აგრეთვე მაო ძე-დუნის ჯგუფის „თეორეტიკოსები“, რომლებიც ცდილობენ თავიანთი ნაღვლბნით დაამახინჯონ ენენინური დებულებანი მატერიალური დაინტერესების, სამეურნეო ანგარიშის, მოგების შესახებ და ამ ეკონომიურ კატეგორიებს ბურჟუაზიულ კატეგორიებად გვიხატავენ. ამავე დროს სასაქონლო-ფულად ურთიერთობას სოციალისტურ ეკონომიკაში სულ სხვა სოციალური შინაარსი აქვს, ვიდრე კაპიტალიზმის პირობებში, იგი ემყარება წარმოების საშუალებათა საზოგადოებრივ საკუთრებას და გამორიცხავს ფულის კაპიტალად, ექსპლოატაციის საშუალებად გადაქცევის შესაძლებლობას. ეს ურთიერთობა ცენტრალიზებული სახელმწიფო დაგეგმვის წამყვან როლს გულისხმობს და გამოყენებულია სოციალისტური სახალხო მეურნეობის ყველა დარგის კიდევ უფრო მძლავრი განვითარებისა და საბჭოთა ხალხის კეთილდღეობის შემდგომი გაუმჯობესებისათვის.

სახალხო მეურნეობის მართვის ახალი სისტემის ძირითადი პრინციპია დემოკრატიული ცენტრალიზმის პრინციპი, რომელიც უზრუნველყოფს ცენტრალიზებული ხელმძღვანელობისა და ღრმა დემოკრატიზმის ორგანულ ერთიანობას. ეს პრინციპი თანმიმდევრულად გამომდინარეობს წარმოების საშუალებათა სოციალისტური საკუთრებიდან, ყველაზე ეფექტიანად გვაძლევს შესაძლებლობას მოვაწყოთ თანამედროვე მსხვილი სოციალისტური წარმოება, ყველაზე სრულად უხამებს საზოგადოების ინტერესებს მშრომელთა კოლექტივებისა და ყველა მოქალაქის ინტერესებს, რომელთა შეგნება განუხრელად იზრდება კომუნიზმისაკენ წინსვლის კვალობაზე.

მატერიალურ-ტექნიკური ბაზის განვითარებასთან ერთად საბჭოთა საზოგადოება სრულყოფს სოციალურ და პოლიტიკურ ურთიერთობას. სოციალისტური დემოკრატიის განუწყვეტელი გაღრმავება და განვითარება ხელს უწყობს საბჭოების, პროფკავშირების, კომკავშირისა და სხვა საზოგადოებრივი ორგანიზაციების სულ უფრო მეტ აქტივიზაციას, სახელმწიფოს მართვაში მშრომელთა სულ უფრო ფართო მასების ჩაბმას. ამ მზარდი დემოკრატიზმის ნიადაგზე თანდათანობით შეიქმნება კომუნისტური საზოგადოებრივი თვითმმართველობის ელემენტები. ჩვენი ამოცანაა განვავითაროთ ეს ელემენტები, ყოველი ღონისძიებით ვზარდოთ და ვამრავლოთ ისინი.

საბჭოთა საზოგადოებაში იმ სოციალური გარდაქმნებისა და ცვლილებების სფერო, რომლებიც ხორციელდება მუშათა კლასის წამყვანი როლის პირობებში, პარტიის ხელმძღვანელობით, უჩვეულოდ ფართოა. ჩვენ უკვე დიდი მუშაობა გავწიეთ ქალაქსა და სოფელს შორის განსხვავების მოსასპობად. უახლოეს წლებში ეს მუშაობა კიდევ უფრო გაძლიერდება. სასოფლო-სამეურნეო წარმოების ელექტროფიკაცია, მექანიზაცია და ქიმიზაცია მას ინდუსტრიულ სახეს მისცემს. ხოლო კულტურის ამაღლება სოფლად და გლეხთა ყოფის გადაჭრით გარდაქმნა შესაძლებლობას მოგვცემს კიდევ უფრო დავუახლოვოთ ერთმანეთს შრომის, ყოფაცხოვრებისა და კულტურის პირობები ქალაქისა და სოფლის განვითარებაში.

მეცნიერულ-ტექნიკური რევოლუცია, წარმოებითი ურთიერთობის სრულყოფა, მოსახლეობის ყველა ფენის კეთილდღეობის გაუმჯობესება, იდეურ-პოლიტიკური ამოცანების ერთობის გაფართოება, ცოდნის ფართოდ გავრცელება მასებში, მშრომელთა აქტიურობისა და ორგანიზებულობის ზრდა საშუალებას გვაძლევენ თანდათანობით წავშალოთ სოციალურ-კლასობრივი საზღვრები მუშებს, კოლმეურნეებს, ინტელიგენციას შორის ეკონომიურ, სოციალურ და კულტურულ დარგებში. უკვე ახლა ვხედავთ, თუ როგორ გაძლიერდა ჩვენს საზოგადოებაში მშრომელთა ყველა ჯგუფის სოციალური ერთგვაროობა ერთიან სოციალისტურ საფუძველზე. ინტენსიურად მიმდინარეობს გონებრივი და ფიზიკური შრომის შეერთების პროცესი ადამიანთა საწარმოო საქმიანობაში.

კომუნისტური მშენებლობის წარმატებანი კიდევ უფრო განამტკიცებენ ჩვენი სამშობლოს ხალხთა მეგობრობასა და თანამშრომლობას. ძლიერდება ერების დაახლოების, კულტურების, ყოფის, ენების ურთიერთშეღწევის პროცესი. ამ პროცესის დიალექტიკა ის არის, რომ ჩვენი ხალხების ეროვნული კულტურების ზრდასთან ერთად კვლავაც სულ უფრო მეტად განვითარდება მათი საერთო საბჭოური, ინტერნაციონალური, სოციალისტური ნიშნები.

კომუნიზმის მშენებლობის მსვლელობაში ყალიბდება ახალი, ყოველმხრივ განვითარებული საბჭოთა ადამიანი, დიდი კულტურის, მაღალი კომუნისტური რწმენის, იდეური სიმტკიცის, სოციალისტური სამშობლოსა და პროლეტარული ინტერნაციონალიზმისადმი უსაზღვრო ერთგულების ადამიანი. როგორც ჩვენი საზოგადოების ნახევარი საუკუნის გამოცდილება მოწმობს, ახალი ადამიანის ჩამოყალიბების პროცესი მოითხოვს კომუნისტური პარტიისა და საბჭოთა სახელმწიფოს უდიდეს მუშაობას მშრომელთა კომუნისტური აღზრდისათვის, შეურიგებელ ბრძოლას კაპიტალიზმის გადმონაშთების წინააღმდეგ ხალხის შეგნებაში და იმპერიალისტთა იდეოლოგიური დივერსიების წინააღმდეგ.

სკკპ ცენტრალური კომიტეტის აპრილის პლენუმმა ამხ. ლ. ი. ბრეჟნევის მოხსენების გამო აღნიშნა, რომ „ისტორიული განვითარების თანამედროვე ეტაპს ახასიათებს კაპიტალიზმსა და სოციალიზმს შორის იდეოლოგიური ბრძოლის მკვეთრი გამწვავება“. ამ პირობებში განსაკუთრებული მნიშვნელობა ენიჭება მშრომელთა კომუნისტურ აღზრდას მარქსიზმ-ენენიზმის დიადი იდეების საფუძველზე, შეურიგებელ ბრძოლას მტრულ იდეოლოგიასთან, იმპერიალიზმისა და მისი იდეოლოგების, აგენტებისა და ლაქიების ხრიკების გადაჭრით მხილებას, პარტიის მთელი იდეოლოგიური საქმიანობის გაძლიერებას. ეს ძლევამოსილი კომუნისტური მშენებლობის ერთ-ერთი აუცილებელი პირობაა.

მომავლის ნათელი გზა მსოფლიოს ხალხებს დაუსახეს კაცობრიობის დიდმა გენიოსებმა — კ. მარქსმა, ფ. ენგელსმა, ვ. ი. ენენმა. საბჭოთა ხალხი კომუნისტური პარტიის ხელმძღვანელობით მტკიცედ და განუხრელად მიდის წინ ამ გზით.

და ამ აზრის ტიტანების ყველაზე საუკეთესო ძეგლი, ამ მგზნებარე რევოლუციონერების საუკეთესო დაფასება იქნება ჩვენს ქვეყანაში კომუნიზმის ნათელი შენობის აგება.

მარქსიზმი და მსოფლიო რევოლუციური მოძრაობის ზოგიერთი პრობლემა

ამხანაგებო! მარქსისტულ-ენენური თეორია საერთაშორისო მუშათა და კომუნისტური მოძრაობის და მსოფლიოს მთელი რევოლუციური ძალების საქმიანობის იდეური საფუძველია, შესაძლებლობას აძლევს მათ სწორი გეზი აიღონ მოვლენათა რთულ ხლართში, პასუხი გასცენ ახალ პრობლემებზე, რომლებსაც საზოგადოებრივი განვითარების მსვლელობა აყენებს.

ცხოვრება ყოველდღიურად ადასტურებს ამ მოძღვრების სისწორეს და ყოველთვის აბათილებს კაპიტალიზმის აპოლოგეტთა არგუმენტებსა და დებულებებს, რომლებიც ცდილობენ უარყონ მარქსისტული დასკვნები. კაპიტალიზმის პოზიციებს ძირი ეთხრება ყოველი მხრიდან.

ამერიკის შეერთებული შტატების ზოგიერთი ბურჟუაზიული მოღვაწეც კი იძულებულია აღიაროს, რომ მათი სახელმწიფო არის „დაავადებული საზოგადოება“, სადაც მოსახლეობის არც ერთ ფენას არა სწამს ხვალინდელი დღე, ხოლო მთლიანად ქვეყანა განიცდის „ნერვულ მოშლილობას ეროვნული მასშტაბით“. მაგრამ უფრო სწორი იქნებოდა გვეთქვა, რომ ახლა არა მარტო რომელიმე ბურჟუაზიული სახელმწიფო, არამედ კაპიტალიზმის მთელი სისტემა დაავადებულია უკურნებელი სენით. ამ დაავადების მეცნიერული დიაგნოზია კაპიტალიზმის საერთო კრიზისი, რომელიც სულ უფრო ღრმავდება.

იმპერიალიზმი, და უწინარეს ყოვლისა ამერიკის შეერთებული შტატების იმპერიალიზმი, — მსოფლიო რეაქციის მთავარი ძალა, არ ერიდება არავითარ საშუალებას, ცდილობს შეაჩეროს რევოლუციის პროცესი, მიმართავს დივერსიებსა და შეთქმულებებს, აწყობს სამხედრო აგრესიებს მსოფლიოს ხან ერთ, ხან მეორე რაიონში. მაგრამ იმპერიალისტური რეაქციის მეცადინეობის მიუხედავად, მსოფლიო განვითარების უპირატესი ტენდენციაა სოციალიზმის პოზიციების განმტკიცება, საერთაშორისო მუშათა და ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობის აღმავლობა. პლანეტაზე დადის დიადი კომუნისტური რევოლუცია, რომლის შესახებაც გამჭრიახად წერდა კ. მარქსი.

დღეს მარქსიზმის ფუძემდებლების მიერ დაწყებული მოძრაობა შეუერთდა მძლავრ, მსოფლიო რევოლუციურ პროცესს, რომელშიც ურთიერთ მოქმედებს სამი ძირითადი ნაკადი:

— სოციალიზმისა და კომუნიზმის აშენებისათვის მებრძოლ მსოფლიო სოციალისტური სისტემის ხალხთა რევოლუციური საქმიანობა;

— კაპიტალისტური ქვეყნების მუშათა მოძრაობა;

— აზიის, აფრიკისა და ლათინური ამერიკის ხალხთა ეროვნულ - განმათავისუფლებელი ბრძოლა.

თანამედროვე ეპოქის ცენტრში, რომლის მთავარი შინაარსია მსოფლიო მასშტაბით კაპიტალიზმიდან სოციალიზმზე გადასვლა, დგანან საერთაშორისო მუშათა კლასი და მისი მთავარი პირმშო — სოციალიზმის მსოფლიო სისტემა. ამ დებულებას, რომელიც აღიჭდილია მსოფლიო კომუნისტური მოძრაობის დოკუმენტებსა და საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის პროგრამაში, საკუთარ ცხოვრებაში ადასტურებს მილიონთა რევოლუციური პრაქტიკა, მსოფლიო მოვლენათა მთელი მსვლელობა.

სოციალიზმის გამარჯვებამ სსრ კავშირში, სოციალისტური თანამეგობრობის წარმოშობამ და განმტკიცებამ უდიდესი გავლენა მოახდინეს შრომასა და კაპიტალს შორის მსოფლიო ბრძოლის მსვლელობაზე. სოციალიზმის მსოფლიო სისტემის პოლიტიკური გავლენის, ეკონომიური და სამხედრო ძლიერების ზრდა ხელფეხს უბორკავს იმპერიალისტებს, უფრო ხელსაყრელ პირობებს ქმნის მთელი მსოფლიო რევოლუციური პროცესის განვითარებისათვის. სოციალიზმი სულ უფრო მეტ ზემოქმედებას ახდენს საზოგადოებრივ პროგრესზე მთელ მსოფლიოში. ამ ბოლო წლების გამოცდილებამ კვლავ დაადასტურა, რომ, თანამედროვე ვითარების მთელი სირთულისა და წინააღმდეგობრიობის მიუხედავად, დრო სოციალიზმისათვის მუშაობს.

წარსულს ჩაბარდა ის დრო, როცა თავის სამხედრო-ტექნიკურ უპირატესობაზე დაყრდნობილ მძლავრ იმპერიალისტურ სახელმწიფოს შეეძლო, ისე, რომ არ შინებოდა სერიოზული ზარალისა, განეხორციელებინა „პოლიციური აქციები“ მსოფლიოს ყოველ კუთხეში. ამას საკუთარი გამოცდილებით ხედავენ შეერთებული შტატები, რომლებიც იმედოვნებდნენ, რომ საომარ გასეირნებას მოაწყობდა ვიეტნამში. ამის ნაცვლად კი თავს დაიტეხა მძიმე, სისხლისმღვრელი და უპერსპექტივო ომი. ვიეტნამის ამბებმა მთელი დამაჯერებლობით ცხადყო, თუ რა უდიდესი პოტენციებია თვითეულ ხალხში, როცა იგი იცავს თავისუფლებასა და დამოუკიდებლობას და საშუალება აქვს დაეყრდნოს მეგობარ მშვიდობისმოყვარე სახელმწიფოთა მხარდაჭერას.

სოციალისტური თანამეგობრობის ქვეყნების ყოველმხრივი თანამშრომლობისა და შეკავშირების განმტკიცება, მათი წარმატებანი ეკონომიკისა და მეცნიერების განვითარებაში, მშრომელთა კეთილდღეობისა და კულტურის დონის ამაღლებასა და სოციალისტური საზოგადოებრივი ურთიერთობის სრულყოფაში სულ უფრო ზრდიან სოციალიზმის მიმზიდველ ძალას, აფართოებენ ეროვნული და სოციალური თავისუფლებისათვის მებრძოლი ხალხებისათვის პოლიტიკური და ეკონომიური დახმარების გაწევის საშუალებას. აი რატომ არის, რომ იმპერიალიზმი, რომელიც სერიოზულ შერყევებსა და მარცხს განიცდის საშინაო და საგარეო პოლიტიკაში, ამჟამად თავის ძირგამომთხრელ პოლიტიკურ და იდეოლოგიურ ბრძოლას სულ უფრო მეტად წარმართავს სოციალისტური ქვეყნების წინააღმდეგ, ცდილობს გახრწნის ისინი შიგნიდან, შეასუსტოს ამ ქვეყნების ერთიანობა და საერთაშორისო კომუნისტური მოძრაობის შეკავშირება.

ეჭვი არ არის, რომ იმპერიალისტთა ეს ვერაგული ზრახვები ჩაიფუშება. საბჭოთა კავშირისა და სხვა სოციალისტური ქვეყნების ხალხები ფხიზლად არიან და მტკიცედ მიდიან სოციალიზმისა და კომუნიზმის მშენებლობის გზით. ვერავინ ვერ აიცდენს მათ ამ გზას.

ამხანაგებო! თანამედროვე კაპიტალიზმს სულ უფრო ღრღნის მწვავე შინაგანი და გარეგანი წინააღმდეგობები. განვითარებულ კაპიტალისტურ ქვეყნებში, თანამედროვე იმპერიალიზმის ამ ცენტრებში, ფართოვდება მუშათა კლასის რევოლუციური ბრძოლა ადამიანის მიერ ადამიანის ექსპლოატაციაზე დამყარებული სოციალურ-ეკონომიური სისტემის საფუძვლების წინააღმდეგ.

ამ ბრძოლაში მუშათა კლასსა და მთელ მშრომელებს უპირისპირდება ძლიერი გამოცდილი მეტოქე — მონოპოლიები, რომლებიც ეყრდნობიან მძლავრ სახელმწიფო აპარატს. ისწრაფვის რა შეინარჩუნოს თავისი პოზიციები, მონოპოლისტური ბურჟუაზია ცდილობს შეეგუოს თანამედროვე პირობებს. ამისაკენ მას უბიძგებს სამი ძირითადი ფაქტორი. ეს არის წარმოების განვითარების ობიექტური პროცესი, რომელსაც მკაფიოდ გამოხატული საზოგადოებრივი ხასიათი აქვს. ეს არის ისტორიული შეჯიბრება სოციალიზმთან, და, ბოლოს, ეს არის მუშათა კლასისა და მთელი მშრომელების გააფთრებული და მზარდი ბრძოლა თავიანთი ეკონომიური და პოლიტიკური ინტერესებისათვის.

ამ ბოლო ათწლეულებში გაძლიერდა მონოპოლისტური კაპიტალიზმის სახელმწიფო-მონოპოლისტურ კაპიტალიზმად გარდაქმნის პროცესი. სულ უფრო ფართოდ იყენებენ პირდაპირი და არაპირდაპირი სახელმწიფო რეგულირების, ეკონომიური პროგრამირებისა და პროგნოზირების სხვადასხვა ფორმებს. კერძო მონოპოლიების სისტემა სულ უფრო მჭიდრად უკავშირდება სახელმწიფო მეწარმეობის სისტემას. თანამედროვე ბურჟუაზიული სახელმწიფო სულ უფრო მეტად ერევა სოციალურ-ეკონომიური ურთიერთობის სისტემაში. რა თქმა უნდა, ბურჟუაზიული წყობილების შენარჩუნებისა და მონოპოლიების გამდიდრების ინტერესებისათვის, და არა ხალხის ინტერესებისათვის.

ამ მოვლენებისადმი მარქსისტული, დიალექტიკური მიდგომა საშუალებას გვაძლევს დავინახოთ მათი განვითარების მთელი წინააღმდეგობრიობა. საბოლოო ანგარიშით ისინი ძირს უთხრიან კაპიტალიზმის წმიდათა-წმიდას — კერძო საკუთრებას. კაპიტალიზმის მთელ განვითარებას ძალად აჰყავს იგი უკანასკნელ, სოციალიზმისწინა საფეხურზე, როცა სოციალიზმი უკვე კარზეა მომდგარი.

კაპიტალიზმის აპოლოგეტები ცდილობენ დაიცვან მისი არსებობის უფლება და იმოწმებენ იმას, რომ უკანასკნელ ათწლეულებში ცალკეულ კაპიტალისტურ ქვეყნებში მრეწველობის განვითარების ტემპები გაიზარდა. მართლაც, მეცნიერულ-ტექნიკური რევოლუციის მეოხებით და სახელმწიფო-მონოპოლისტური რეგულირების მთელი რიგი ღონისძიებების გამოყენებით კაპიტალისტური ეკონომიკა ვითარდებოდა უფრო ინტენსიურად, ვიდრე XX საუკუნის პირველ მესამედში.

მაგრამ, მიუხედავად ყველა ახალშემოღებული წესისა, კაპიტალიზმი სულ უფრო მეტად ავლინებს თავის უუნარობას სოციალიზმის სამყაროსთან შეჯიბრებაში. ყველაზე დიდი წარმატებების წლებშიც კი მისი ეკონომიკა უფრო ნელა ვითარდებოდა, ვიდრე სოციალისტურ ქვეყნებში. უნდა აღვნიშნოთ, რომ სწორედ ამ ბოლო დროს ეკონომიური განვითარების ტემპების თანაფარდობა სულ უფრო მეტად შეიცვალა სოციალისტური ქვეყნების სასარგებლოდ. ამასთან კაპიტალიზმის ეკონომიკის ზრდა მეტისმეტად არათანაბრად მიმდინარეობს. ზოგიერთ ქვეყანაში და უწინარეს ყოვლისა ამერიკის შეერთებულ შტატებში, ამ ზრდას უმეტესად არაჯანსაღი, მილიტარისტული ხასიათი ჰქონდა. არ არის კაპიტალიზმის არც ერთი ქვეყანა, რომელსაც აღმოეფხვრას კონიუნქტურული რყევანი. როგორც წესი, 5-6 წლის ზრდას თან მოსდევს კრიზისული დაქვეითება ან უკეთეს შემთხვევაში ერთი ადგილის ტკეპნა.

ამ ბოლო დროს კაპიტალიზმის ეკონომიკა ახალ სერიოზულ ძვრებს განიცდის. ძირეულად შეირყა კაპიტალისტური სისტემის ორი ძირითადი საერთაშორისო ვალუტის — გირვანქა სტერლინგისა და დოლარის პოზიციები. კაპიტალიზმის მმართველი ზედაფენა ცდილობს მდგომარეობიდან გამოსვლას მშრომელთა ფართო მასების ხარჯზე: წაართვას მათ განვლილი წლების სოციალური და ეკონომიური მონაპოვარნი. ეს განაპირობებს სოციალური კონფლიქტებისა და კლასობრივი ბრძოლების შემდგომ გამწვავებას.

ეკონომიური განვითარების მსვლელობაში კიდევ მეტად ღრმავდება უფსკრული შრომასა და კაპიტალს შორის, ძლიერდება კლასობრივი ძალების პოლარიზაცია. ამერიკის შეერთებული შტატების მაგალითით ჩანს, რომ ერთი მუჭა კაპიტალისტები, რომლებიც ასეულ მილიონობით და მილიარდობით დოლარის ღირებულების უზარმაზარ სიმდიდრეს ფლობენ, ფაქტიურად ქვეყნის ეკონომიური, პოლიტიკური და თვით კულტურული ცხოვრების ფაქტიური კონტროლიორები და კანონმდებლები არიან. ამავე დროს განვითარებულ კაპიტალისტურ ქვეყნებში ათეულ მილიონობით, მთლიანად კაპიტალიზმის გავლენის სფეროში, კი ასეულ მილიონობით ადამიანი უბადრუკად და ღატაკურად ცხოვრობს.

დაქირავებული შრომის პირთა წილი ამერიკის შეერთებული შტატებისა და სხვა განვითარებული კაპიტალისტური ქვეყნების თვითმოქმედ მოსახლეობაში 60-იანი წლების შუახანებში 80-90-მდე პროცენტამდე გაიზარდა. მეცნიერულ-ტექნიკური რევოლუციის შედეგად კაპიტალის მიერ ექსპლოატირებული ახალი სოციალური ჯგუფების წარმოშობა და განვითარება იმ ძალების ფრონტის გაფართოების დამატებითს შესაძლებლობებს სახავს, რომლებიც მუშათა კლასის მეთაურობით იბრძვიან არსებული საზოგადოებრივი სისტემის ძირეულად შეცვლისათვის. ეს ნიშნავს, რომ ექსპლოატატორთა კლასს ობიექტურად მოსახლეობის დიდი უმრავლესობა უპირისპირდება.

მარქსისტული დებულება, რომ ბურჟუაზია არასოდეს არ დათმობს ძალაუფლებას ნებაყოფლობით, დღესაც მოქმედებს. მაგრამ მუშათა მოძრაობის გამოცდილება გვიჩვენებს, რომ რევოლუციური ძალადობის ფორმები შეიძლება სხვადასხვა იყოს კონკრეტულ-ისტორიული პირობების მიხედვით. თანამედროვე მუშათა მოძრაობის შეტევითი სტრატეგიის ძირითადი პრობლემა ის არის, რომ ხელი შეუწყოს ისეთი ობიექტური და სუბიექტური პირობების შექმნას, როცა რევოლუციური მასები შეძლებენ ბოლო მოუღონ მონოპოლისტური ბურჟუაზიის ბატონობას.

როგორ შეიქმნათ ეს პირობები? როგორ მივიყვანოთ მასები მონოპოლისტურ ბურჟუაზიასთან ბრძოლის გადამწყვეტ ეტაპამდე? აი კითხვები, რომლებიც მთელი სიგრძე-სიგანით დგას დღეს განვითარებული კაპიტალიზმის ქვეყნების მუშათა მოძრაობის წინაშე.

თანამედროვე პირობებში მკვეთრად გაიზარდა მუშათა კლასის რევოლუციურ ბრძოლაში **საერთოდემოკრატიული ამოცანების** მოცულობა, შეიცვალა მათი შინაარსი. თუ მარქსის ეპოქაში საერთოდემოკრატიული ბრძოლის ხასიათს განსაზღვრავდა ანტიფეოდალური და ანტიკაპიტალისტური ამოცანების კომპლექსი; თუ XX საუკუნის დამდეგს რუსეთსა და ზოგიერთ სხვა ქვეყანაში საერთოდემოკრატიულ ამოცანებს განიხილავდნენ და წყვეტდნენ ბურჟუაზიულ-დემოკრატიული რევოლუციის სოციალისტურ რევოლუციად გადაზრდის თვალსაზრისით; თუ სახალხო დემოკრატიის ქვეყნებში ეროვნული ფრონტების საერთოდემოკრატიული ამოცანები უპირატესად მათი რევოლუციური ბრძოლის პირველი პერიოდის ანტიფაშისტურმა შინაარსმა წარმოშვა, ამჟამად კაპიტალისტურ ქვეყნებში საერთოდემოკრატიული ამოცანების მოცულობის გაფართოება პროლეტარიატის კლასობრივი ბრძოლის **ანტიმონოპოლისტური შინაარსიდან გამომდინარეობს.**

დღეს ანტიმონოპოლისტური მოძრაობის ერთ-ერთი შემადგენელი ნაწილია ბრძოლა დემოკრატიული რეფორმებისათვის, რომლებიც ძირს უთხრიან მონოპოლიათა პოზიციებს. დემოკრატიული რეფორმებისა და მშრომელთა ცხოვრების პირობების გაუმჯობესებისათვის ბრძოლას, რომელიც უშუალოდ სოციალისტური არ არის, ამავე დროს მიჰყავს მასები იმის შეგნებამდე, რომ საჭიროა სოციალისტური რევოლუცია.

სულ უფრო ფართოდ ჩაღდება კაპიტალის ქვეყნებში მასების ბრძოლა მშვიდობისათვის, ეროვნული დამოუკიდებლობისათვის, დემოკრატიისათვის. განსაკუთრებით დიდი მნიშვნელობა აქვს ფართო დემოკრატიულ მოძრაობას მშვიდობისა და სხვადასხვა სოციალური წყობილების ქვეყნების მშვიდობიანი თანაარსებობისათვის, ახალი მსოფლიო ომის თავიდან აცილებისათვის, ბრძოლას მონოპოლისტური კაპიტალის მილიტარისტული წრეების წინააღმდეგ.

მასობრივი ბრძოლის ამ და სხვა თანამედროვე ფორმების განვითარებას, საბოლოო ანგარიშით, შეიძლება მოჰყვეს ყველაზე აგრესიული და ყველაზე რეაქციული ჯგუფების იზოლაცია იმპერიალიზმის ბანაკში, მონოპოლიათა ეკონომიური ყოვლისშემძლეობის გარკვეული შეზღუდვა, მათი პოლიტიკური პოზიციების შესუსტება. ამ პირობებში ხალხის სულ უფრო ფართო ფენებს შეუძლიათ თანდათან მიიგონონ, რომ ერთადერთი რევოლუციური [illegible] გადასვლა კაპიტალიზმიდან სოციალიზმზე.

ბრძოლის წარმატება დამოკიდებულია იმაზე, თუ რამდენად მტკიცე იქნება მუშათა კლასის კავშირი სხვა სოციალურ ფენებთან და ჯგუფებთან, რომლებიც მონოპოლიათა ბატონობის წინააღმდეგ იბრძვიან. ანტიმონოპოლისტური ამოცანების ალმით, მუშათა კლასის ხელმძღვანელობით შეუძლიათ გაერთიანება მოსახლეობის უაღრესად ფართო ფენებს: გლეხებს, ხელოსნებს, ინტელიგენტებს, ქალაქის საშუალო ფენებს. ამიტომ ბუნებრივია რევოლუციური ძალების მისწრაფება შექმნან ერთიანი **ანტიმონოპოლისტური ფრონტი** — მშვიდობის, დემოკრატიის, ეროვნული დამოუკიდებლობის, სოციალური პროგრესის ყველა მომხრის გაერთიანება.

განწირულება კაპიტალიზმისა, რომელსაც ხალხებისათვის მოაქვს მზარდი ექსპლოატაცია, უმუშევრობა, საერთო ურწმენობა, გადასახადებისა და სიძვირის ზრდა, ეკონომიური შერყევანი, პოლიტიკური რეაქცია, აგრესიული „ლოკალური ომები“ და თერმოატომური კატასტროფის საფრთხე, ნეოკოლონიური ბატონობა, ყოფილ კოლონიებში მცხოვრები კაცობრიობის უმეტესი ნაწილის საშინელი სიღატაკე, სულ უფრო აშკარა ხდება არა მარტო მუშათა კლასისათვის, არამედ მთელი პლანეტის მშრომელთა უაღრესად ფართო ფენებისთვისაც.

ფაქტები მოწმობენ, რომ განვითარებული კაპიტალიზმის ქვეყნების პროლეტარიატის კლასობრივი ბრძოლა სულ უფრო ფართოვდება, ღრმა ხდება შინაარსით, სოციალურად მნიშვნელოვანი — ამ ბრძოლაში ჩაბმულ მოკავშირეთა რაოდენობით, სულ უფრო უმზადებს პირობებს უშუალო ბრძოლას საბოლოო მიზნისათვის — საზოგადოების რევოლუციური გარდაქმნისათვის, სოციალიზმისათვის.

კარლ მარქსის დიად მემკვიდრეობაში დიდმნიშვნელოვანი ადგილი უჭირავს მოძღვრებას **კოლონიურ საკითხზე.** მარქსი, რომელსაც კოლონიური სისტემა კაპიტალიზმის გარდუვალ წარმონაშობად მიაჩნდა, ხაზს უსვამდა მჭიდრო კავშირს განვითარებული ქვეყნების მშრომელი მასების რევოლუციურ განთავისუფლებასა და კოლონიური ბატონობის ლიკვიდაციას შორის. ახალ პირობებში, როცა კაპიტალიზმი თავის უკანასკნელ, იმპერიალისტურ სტადიაში შევიდა, ვ. ი. ენენმა დაასაბუთა მსოფლიო რევ

ამხანაგ მ. ა. სუსლოვის მოხსენება

(დასასრული).

ძარცვას, ხშირად მხოლოდ ნიღბავენ მის ფორმებს.

ეკონომიური დამოუკიდებლობისათვის ბრძოლა შეადგენს ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობის ახლანდელი ეტაპის ძირითად შინაარსს. ეკონომიური დამოუკიდებლობის მოუპოვებლად შეუძლებელია რამდენადმე სერიოზული სოციალური პროგრესი, მასების ცხოვრების დონის ამაღლება. მაგრამ ასეთი ბრძოლა შეიძლება წარმატებითი იყოს მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ განთავისუფლებული ქვეყნები ყოველ ღონეს იხმარენ საკუთარი სიცოცხლისუნარიანი და მრავალმხრივი ეკონომიკის თანდათანობით შესაქმნელად. ჩამორჩენილი, ჯერ ისევ ნახევრადკოლონიური მეურნეობის გარდაქმნის ტემპები და ეფექტიანობა დამოკიდებულია ამ ქვეყნებში მიმდინარე სოციალურ გარდაქმნათა სიღრმესა და გაქანებაზე.

ეკონომიური დამოუკიდებლობისათვის ბრძოლის დროს განთავისუფლებული ქვეყნის ხალხთა შორის იზრდება მისწრაფება სოციალიზმისადმი. მოსახლეობის სულ უფრო ფართო ფენებს სავსებით საფუძვლიანად მიაჩნიათ, რომ სოციალიზმია ერთადერთი წყობილება, რომელიც იხსნის მათ სიღატაკისა და ჩამორჩენილობისაგან, ექსპლოატაციისა და უთანასწორობისაგან.

არის იმის ობიექტური წანამძღვრებიც, რომ განთავისუფლებული ქვეყნები გადავიდნენ სოციალიზმზე კაპიტალიზმის გვერდის ავლით. ქვეყნებს, რომლებიც ეროვნული დამოუკიდებლობის განმტკიცების გზას, სოციალური პროგრესის გზას ადგანან, შეუძლიათ დაეყრდნონ სოციალიზმის მსოფლიო სისტემის პოლიტიკურ, მორალურ და ეკონომიურ მხარდაჭერას. მთელ რიგ ქვეყნებში რევოლუციურმა დემოკრატიამ, ხელთ იპყრო რა ძალაუფლება, შეძლო განეხორციელებინა ფართო სოციალური გარდაქმნები, რომლებიც არაკაპიტალისტური განვითარების გზაზე გადასვლის წანამძღვრებს ქმნიან. რევოლუციურ დემოკრატთა შემდგომი წარმატებანი ამ გზაზე ბევრად იქნება დამოკიდებული იმაზე, თუ რამდენად სულ უფრო გაბედულად და მტკიცედ გადავლენ ისინი მეცნიერული სოციალიზმის პოზიციებზე და თავიანთ საქმიანობაში იხელმძღვანელებენ რევოლუციური თეორიით.

ბევრ განთავისუფლებულ ქვეყანაში სოციალიზმისათვის ბრძოლაში აქტიურ როლს ასრულებენ კომუნისტები. ჯერ კიდევ 1917-1922 წლების რევოლუციური აღმავლობის დროს კოლონიურ და დამოკიდებულ ქვეყნებში წარმოიშვა 18 მარქსისტულ-ლენინური პარტია. მეორე მსოფლიო ომის წინ აზიაში, აფრიკასა და ლათინურ ამერიკაში უკვე იყო 38 კომუნისტური პარტია, რომლებშიც ირიცხებოდა 117 ათასი წევრი. ჩვენს დროში კომუნისტური და მუშათა პარტიებია „მესამე სამყაროს“ 50-ზე მეტ ქვეყანაში. ყველა მათგანი მრავალრიცხოვანი როდია ჯერჯერობით, მაგრამ მათი როლი, ეჭვი არ არის, გაიზრდება.

ისეთი პრობლემები, როგორიც არის თანამედროვე მსოფლიო რევოლუციური მოძრაობის სამი ნაკადის ურთიერთკავშირი, თვითეული მათგანის როლი და განსაკუთრებით, ურთიერთობა მსოფლიო სოციალისტურ სისტემასა და კაპიტალისტური ქვეყნების მუშათა მოძრაობას შორის, ერთი მხრივ, და ეროვნულ-განმათავისუფლებელ მოძრაობას შორის, მეორე მხრივ, როგორც ცნობილია უტოპიური დემაგოგიის ობიექტი გახდა ამ უკანასკნელ წლებში. ზოგიერთი ცრუმემარცხენული და ნაციონალისტური ელემენტები, ქადაგებენ რა „მსოფლიო სოფლის“ ბრძოლას „მსოფლიო ქალაქის“ წინააღმდეგ (სოციალისტური ქვეყნების ჩათვლით), აცხადებენ, რომ მსოფლიო სოციალისტური რევოლუციის ეპიცენტრმა ამჟამად გადაინაცვლა ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობის ქვეყნების ზონაში. ისინი ამტკიცებენ, რომ ეს ქვეყნები რევოლუციის მთავარ ძალას წარმოადგენენ. ამიტომ რევოლუციის საქმე კაპიტალისტურ ქვეყნებში საბოლოო ანგარიშით დამოკიდებულია იმპერიალიზმის ყოფილი კოლონიური პერიფერიის განთავისუფლებულ ხალხთა ბრძოლის შედეგებზეო.

ამ კონცეპციაში სავსებით ცხადია დამახინჯება მარქსისტულ-ლენინური წარმოდგენისა მსოფლიო რევოლუციის შესახებ. მისი ავტორები უგულებელყოფენ მარქსისტულ-ლენინურ მოძღვრებას მუშათა კლასის ისტორიული მისიის შესახებ, ამახინჯებენ ისტორიული მატერიალიზმის არსს, ამახინჯებენ წარმოდგენას საზოგადოებრივ პროგრესზე, იმაზე, რომ საზოგადოებრივი პროგრესი არის ერთი ეკონომიური ფორმაციის შეცვლა მეორე უფრო მაღალი ფორმაციით საწარმოო ძალების განვითარებისა და წარმოებითი ურთიერთობის განვითარების თვალსაზრისით. ისინი თიშავენ მსოფლიო რევოლუციური პროცესის ერთიანობას და ისწრაფვიან მისი ერთი ნაწილი მეორეს დაუპირისპირონ. ასეთი გამთიშველური კონცეპცია უდიდეს ზიანს აყენებს არა მარტო საერთაშორისო მუშათა კლასს, არამედ უწინარეს ყოვლისა თვით ეროვნულ-განმათავისუფლებელ მოძრაობასაც.

ამხანაგებო! სადაც უნდა წარმოებდეს მსოფლიოში კლასობრივი ბრძოლები, რა ნიადაგზეც უნდა ხდებოდეს რევოლუციური პროცესის აქტივიზაცია, — ყველგან ანტიმონოპოლისტური და ანტიიმპერიალისტური მოძრაობის ავანგარდში, სოციალური პროგრესისათვის მებრძოლთა პირველ რიგებში არიან კომუნისტური პარტიები.

კომუნისტური მოძრაობა გადაიქცა თანამედროვეობის ყველაზე გავლენიან პოლიტიკურ ძალად, რადგან იგი ბრძოლის ყველა ეტაპზე, ყველა პირობებში მუდამ იყო ერთგული მარქსიზმ-ლენინიზმისა, რომელიც მოითხოვს შემოქმედებითს მიდგომას სწრაფად ცვალებადი სინამდვილისადმი.

თანამედროვე კომუნისტური მოძრაობის უმნიშვნელოვანესი პოლიტიკური ამოცანაა მისი ერთიანობის აღდგენა და განმტკიცება. ჯერ კიდევ საერთაშორისო მუშათა მოძრაობის გარიჟრაჟზე კ. მარქსი აღნიშნავდა, რომ მუშათა კლასის ინტერნაციონალური სოლიდარობა მისი გამარჯვების აუცილებელი პირობაა. კ. მარქსის მოწოდება „პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!“ იყო და კვლავ არის მსოფლიო მუშათა მოძრაობის საბრძოლო დევიზი. ყველა ქვეყნის კომუნისტური პარტიებისათვის თანამედროვე პირობებში უმნიშვნელოვანესი ამოცანაა განუხრელად „შეასრულონ კ. მარქსის დიადი ანდერძი: „...მიაღწიონ იმას, რომ სხვადასხვა ქვეყნის მუშები არა მარტო გრძნობდნენ, არამედ აგრეთვე მოქმედებდნენ როგორც ძმები და ამხანაგები, რომლებიც ერთიან არმიაში იბრძვიან თავიანთი განთავისუფლებისათვის“ (კ. მარქსი და ფ. ენგელსი. **თხზ.**, ტ. 16, გვ. 195 რუს.).

მთელი რევოლუციური ძალების შეკავშირების მიღწევა რთული და ხშირად წინააღმდეგობრივი პროცესია. რევოლუციური მოძრაობის მასშტაბების გადიდებას, მისი სოციალური ბაზის გაფართოებას, ქვეყნების ეკონომიური და სოციალურ-პოლიტიკური განვითარების პირობების მრავალგვაროვნობას, რომლებშიც კომპარტიები მოქმედებენ, სხვადასხვა ისტორიულ ტრადიციებსა და სხვა განსხვავებებს შეიძლება მოჰყვეს პოზიციათა დაუთხვევლობა და, მაშასადამე, ამა თუ იმ საკითხზე შეხედულებათა შეუთანხმებლობა.

კომუნისტური პარტიების სოლიდარობა და ერთიანობა ძირეულ და გადამწყვეტ საკითხებში როდი გამორიცხავს პოლიტიკური და ტაქტიკური პოზიციების მრავალგვაროვნობას, შეხედულებათა და შეფასებათა სხვადასხვაობას. მეცნიერული კომუნიზმის ფუძემდებლები გვაფრთხილებდნენ ინტერნაციონალიზმის პრინციპების დამახინჯების საფრთხის წინააღმდეგ, იმ ცდების წინააღმდეგ, რომ პარტიებმა თავს მოახვიონ ერთმანეთს თავიანთი თვალსაზრისი. თანახმად ინტერნაციონალიზმის პრინციპისა, რომლებიც მარქსიზმის ფუძემდებლებმა გვიანდერძეს, კომუნისტური პარტიების ურთიერთობის ნორმაა სრული დემოკრატია, თანასწორუფლებიანობა, ერთმანეთის შეხედულებათა პატივისცემა. ჯერ კიდევ I ინტერნაციონალის არსებობის პერიოდში კ. მარქსი და ფ. ენგელსი ხაზს უსვამდნენ, რომ ინტერნაციონალის პროგრამა „განისაზღვრება იმით, რომ სახავს პროლეტარული მოძრაობის ძირითად ხაზებს, მაშინ როცა მათი თეორიული დამუშავება ხორციელდება პრაქტიკული ბრძოლის მოთხოვნილებათა ზემოქმედებით და სექციებში, მათს ორგანოებში და მათს ყრილობებზე აზრთა ურთიერთგაზიარების შედეგად...“ (კ. მარქსი და ფ. ენგელსი. თხზ., ტ. 18, გვ. 31, რუს.). ეს მით უფრო სწორია ახლა, როცა სხვადასხვა ქვეყანაში მუშათა კლასის ბრძოლის კონკრეტული პირობები უფრო მრავალგვარი გახდა და მომძე პარტიათა კონტაქტების განხორციელების ფორმები შემდგომ განვითარდა.

ამჟამად თითოეული მარქსისტულ-ლენინური პარტია დამოუკიდებლად ამუშავებს და ახორციელებს რევოლუციური ბრძოლის პოლიტიკასა და ტაქტიკას თავისი ქვეყნის ეროვნულ თავისებურებათა და ისტორიულ ტრადიციათა შესაბამისად. ამასთან თვითეული პარტია მონაწილეობს საერთო ინტერნაციონალური ამოცანების შესრულებაში. მომძე პარტიების სუვერენობა და დამოუკიდებლობა მათს საშინაო საქმიანობაში ამოსავალი საფუძვლებია მუშათა კლასის ინტერნაციონალური ბრძოლისა, რომლის საერთო მიზნები მოითხოვენ კომუნისტური მოძრაობის ყველა ეროვნული რაზმის მოქმედების კოორდინაციასა და ერთიანობას. ეროვნული და ინტერნაციონალური მომენტების ამ დიალექტიკური ურთიერთკავშირის დარღვევას მოსდევს პროლეტარული ინტერნაციონალიზმის პრინციპების დამახინჯება, ეროვნული კარდახშულობა, რომლისგანაც ერთი ნაბიჯი რჩება ნაციონალიზმსა და შოვინიზმამდე, რომლებიც ძირს უთხრიან რევოლუციურ ერთიანობას.

„...ვინც ნაციონალიზმის თვალსაზრისს დაადგა, — წერდა ვ. ი. ლენინი, — ის ბუნებრივია, მოისურვებს ჩინური კედელი შემოავლოს თავის ეროვნებას, თავის ეროვნულ მუშათა მოძრაობას, მას არ აკრთობს ისიც კი, რომ საჭირო გახდება ცალკეული კედლების აგება თვითეულ ქალაქში, დაბაში, სოფელში, არ აკრთობს ისიც კი, რომ განცალკევებისა და დაქუცმაცების ტაქტიკით **იგი არარად აქცევს** ყველა ერის, ყველა რასის, ყველა ენის პროლეტართა დაახლოებისა და ერთიანობის დიად ცნებას“ (ვ. ი. ლენინი. თხზ., სრული კრებული, ტ. 7, გვ. 325).

პროლეტარული ინტერნაციონალიზმი, რომელიც გამოხატავს ყველა ქვეყნის მშრომელთა მდგომარეობისა და ინტერესების ერთობას, ხელმძღვანელი პრინციპი იყო და არის მარქსისტ-ლენინელთა თეორიულ და პრაქტიკულ საქმიანობაში. ეს ერთხელ კიდევ ცხადყვეს კომუნისტური და მუშათა პარტიების წარმომადგენლებმა ბუდაპეშტის საკონსულტაციო შეხვედრაზე ა. წ. მარტში. ბუდაპეშტის შეხვედრამ გვიჩვენა, რომ, მაო ძე-დუნის გამთიშველური ჯგუფის წინააღმდეგობის მიუხედავად, საერთაშორისო კომუნისტურ მოძრაობაში წამყვანი ტენდენციაა სულ უფრო მტკიცე მისწრაფება შეკავშირებისადმი, მოქმედები ერთიანობისა და იმპერიალიზმის წინააღმდეგ ბრძოლის აქტივიზაციისადმი.

ბუდაპეშტის შეხვედრის მონაწილეებმა გამოიტანეს საერთო დასკვნა, რომ ამ ამოცანის შესრულებაში დიდი როლი ეკუთვნის კომუნისტური და მუშათა პარტიების საერთაშორისო თათბირს, რომელიც დასახულია მოეწყოს 1968 წლის ნოემბერ-დეკემბერში მსოფლიოში პირველი სოციალისტური სახელმწიფოს დედაქალაქ მოსკოვში. ჩვენი პარტია მხურვალედ მიესალმება ამ გადაწყვეტილებას.

იმპერიალიზმის წინააღმდეგ ბრძოლაში მსოფლიოს რევოლუციური მოძრაობის მთელი ძალების ერთიანობის პრობლემის გადაჭრის გასაღები უწინარეს ყოვლისა კომუნისტების ხელშია. მარქსიზმ-ლენინიზმიდან ყველა გადახვევის წინააღმდეგ, მისი რევოლუციური პრინციპების ნაციონალისტური, დოგმატიკური და რევიზიონისტული დამახინჯებების წინააღმდეგ განუხრელი ბრძოლა მთელი მსოფლიოს მშვიდობის, დემოკრატიის, ეროვნული დამოუკიდებლობისა და სოციალიზმის გამარჯვების პირობა და საწინდარია.

საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტია — საერთაშორისო კომუნისტური და მუშათა მოძრაობის განუყოფელი ნაწილი — ყველაფერს აკეთებს, რაც კი მასზე დამოკიდებულია, რათა განამტკიცოს საერთაშორისო კომუნისტური მოძრაობის ერთიანობა. იგი ისწრაფვის განავითაროს ძმური ურთიერთობა ყველა კომუნისტურ და მუშათა პარტიასთან, შეუთანხმოს თავისი მოქმედება მსოფლიო რევოლუციური მუშათა და ანტიიმპერიალისტური მოძრაობის ყველა რაზმის მეცადინეობას.

ამხანაგებო!

მარქსის მოძღვრება, რომელმაც გაუძლო ცხოვრების მკაცრ შემოწმებას, ჩააბარა ყველა გამოცდა და რომელიც მასობრივი რევოლუციური მოძრაობის პრაქტიკის საფუძველზე გაამდიდრა მარქსის საქმისა და მოძღვრების ერთგულმა განმგრძობმა გენიალურმა ლენინმა, გახდა დროშა ასეულ მილიონობით ადამიანისა, რომლებიც ამ მოძღვრებას იყენებენ კაპიტალიზმისა და იმპერიალიზმის წინააღმდეგ ბრძოლასა და ახალი საზოგადოების მშენებლობაში.

ამჟამად მარქს-ენგელს-ლენინის მოძღვრება გზას უნათებს მთელ კაცობრიობას მისი დიადი მომავლისაკენ, კომუნიზმისაკენ.

რით აიხსნება მარქსიზმ-ლენინიზმის ესოდენ უჩვეულო, გრანდიოზული ტრიუმფი?

იმით, რომ ეს მოძღვრება გამოხატავს მუშათა კლასის, თანამედროვე საზოგადოების ყველაზე მოწინავე კლასის ინტერესებს და ამიტომ ყველა მშრომელისა და ჩაგრულის, ე. ი. მთელი მსოფლიოს მოსახლეობის დიდი უმრავლესობის ინტერესებს.

იმით, რომ ეს მოძღვრება სწორად ასახავს ადამიანთა საზოგადოების განვითარების ობიექტურ კანონზომიერებებს. და რაც უფრო ფართოა რევოლუციურ გარდაქმნათა მასშტაბები, მით უფრო თვალნათლივ რწმუნდება კაცობრიობა, რომ მარქსიზმ-ლენინიზმის უმნიშვნელოვანესი დასკვნები სწორია.

იმით, რომ ეს მოძღვრება ორგანულად დაკავშირებულია ცხოვრებასთან, პრაქტიკასთან, გამუდმებით მდიდრდება და ვითარდება პრაქტიკის განზოგადების, განვითარებადი სინამდვილის ახალი ფაქტებისა და ახალ მოვლენათა შესწავლის საფუძველზე და ამიტომ მარად ცოცხალია. მარქსიზმ-ლენინიზმის მტრები ლაყბობენ, მარქსიზმი „მოძველდაო“. მათ არ ესმით, ხოლო უფრო ხშირად შეგნებულად ამახინჯებენ ამ მოძღვრების, მისი დიალექტიკის, მისი განვითარების შემოქმედებითს ხასიათს. შემოქმედებითი მარქსიზმ-ლენინიზმი არ შეიძლება მოძველდეს, რადგან იგი ჭეშმარიტია. ეს არის მარქსისტულ-ლენინური მოძღვრების ძალისა და ცხოველმყოფელობის დაუშრეტელი წყარო.

ჩვენს დროში მარქსიზმ-ლენინიზმი ვითარდება კომუნისტური და მუშათა პარტიების კოლექტიური მეცადინეობით, რასაც საფუძვლად უდევს უდიდესი გამოცდილება იმპერიალიზმის წინააღმდეგ ბრძოლისა სულ სხვადასხვაგვარ კონკრეტულ პირობებში. სხვა მომძე პარტიებთან ერთად მარქსისტულ-ლენინური მოძღვრების შემდგომ შემუშავებაში დიდი წვლილი შეაქვს საბჭოთა კავშირის კომუნისტურ პარტიას. განუხრელად ხელმძღვანელობს რა ამ მოძღვრებით და შეურიგებელ ბრძოლას ეწევა რა მემარჯვენე და „მემარცხენე“ რევიზიონიზმის წინააღმდეგ, ჩვენი პარტია ამავე დროს გამუდმებით ზრუნავს რევოლუციური თეორიის შემდგომი დამუშავებისათვის, მარქსისტულ-ლენინური მოძღვრების ყველა შემადგენელი ნაწილის — ფილოსოფიის, პოლიტიკური ეკონომიის, მეცნიერული კომუნიზმის განვითარებისათვის.

მარქსიზმ-ლენინიზმის მოძღვრება სოციალიზმისა და კომუნიზმის შენებლობის ხელმძღვანელობის იარაღი საუკუნეთა მანძილზე ჩვენმა პარტიამ ღირსეულად გამოატარა მარქს-ლენინის დიადი რევოლუციური დროშა. ამ დროშით საბჭოთა კავშირის მშრომელებმა თავიანთი სამშობლო მსოფლიოს ერთ-ერთ უძლავრეს სახელმწიფოდ გადააქციეს. მარქსიზმ-ლენინიზმის იდეების ჩაუქრობელი შუქი გვინათებს კომუნიზმისაკენ მიმავალ გზას.

დღეს, როცა აღვნიშნავთ მეცნიერული კომუნიზმის დიდი ფუძემდებლის ხსოვნას, ჩვენ შეგვიძლია მტკიცედ ვთქვათ: ჩვენი სოციალისტური სამშობლო შედარებით მოკლე ისტორიულ ვადაში მიაღწევს საბოლოო მიზანს, რომელიც მარქსმა დასახა, — გახდება კომუნისტური.

დღეს საერთაშორისო მუშათა კლასი, მთელი პროგრესული კაცობრიობა უღრმესი მადლიერებისა და პატივისცემის ვალს იხდის მეცნიერების დიდი კორიფეს, მსოფლიო პროლეტარიატის ბელადისა და მასწავლებლის — კარლ მარქსის წინაშე.

გაუმარჯოს მარქს-ენგელს-ლენინის მარად ცოცხალ რევოლუციურ მოძღვრებას!

გაუმარჯოს დიდ საბჭოთა ხალხს, რომელმაც პირველმა შეასხა ხორცი მეცნიერული სოციალიზმის იდეებს!

გაუმარჯოს საბჭოთა კავშირის კომუნისტურ პარტიას — ჩვენი გამარჯვებების სულისჩამდგმელსა და ორგანიზატორს!

გაუმარჯოს მსოფლიო კომუნისტურ მოძრაობას და მისი შეკავშირების განმტკიცებას მარქსიზმ-ლენინიზმისა და პროლეტარული ინტერნაციონალიზმის პრინციპების საფუძველზე!

(მ. ა. სუსლოვის მოხსენება დამსწრეებმა დიდი ყურადღებით მოისმინეს. მოხსენების დროს ხშირად გაისმოდა ტაში).

---

7 მაისი რადიოსა და კავშირგაბმულობის მუშაკთა დღეა

ფოსტიდან ტელევიზიამდე



7 მაისი რადიოს დღეა. კარგახანია მთელი საბჭოთა ხალხი ზეიმით აღნიშნავს რადიოს—ამ „უსაზღვრო და უქალაღდო გაზეთის“ დაბადების დღეს. წელს რადიოს მუშაკებთან ერთად ამ დღესასწაულს პირველად იზეიმებს კავშირგაბმულობის მუშაკთა მილიონიანი არმია, რომელიც საფუძვლიანად ფლობს კავშირგაბმულობის თანამედროვე ურთულესი ტექნიკის ყველა საშუალებას და ერთგულად ემსახურება ჩვენს ხალხს — ფოსტით, ტელეგრაფით, ტელეფონით, რადიოთი და ტელევიზიით.

საბჭოთა ქვეყანა კავშირგაბმულობის მძლავრი საშუალებებით აღჭურვილი სახელმწიფოა.

საქართველოში კავშირგაბმულობის პირველი საშუალება ცხენის ფოსტა იყო. ამ პრიმიტიული კავშირით ჩვენში მეოცე საუკუნის დასაწყისშიც სარგებლობდნენ, სანამ იგი ბოლოს მორზეს აპარატიანმა სატელეგრაფო კავშირმა არ შეცვალა. შეიძლება ითქვას, რომ საქართველოში კავშირგაბმულობა თითქმის მთლიანად საბჭოთა ხელისუფლების დამყარების შემდეგ აღორძინდა. თუ როგორი იყო კავშირგაბმულობა საქართველოს ტერიტორიაზე საბჭოთა ხელისუფლების დამყარებამდე, ამაზე წარმოდგენას გვაძლევს შემდეგი ციფრები: იმ დროს მხოლოდ 108 საფოსტო განყოფილება და 300 ფოსტის ყუთი ითვლებოდა, ისინიც მხოლოდ მთავარ ქალაქებში. პროვინცია კი მოლიანად მოკლებული იყო ადამიანთა ურთიერთკავშირის საშუალებებს. გავიდა მოკლე ხანი, და ეს ციფრები გრანდიოზულად გაიზარდა. ამჟამად საქართველოში გვაქვს 1.200-ზე მეტი საფოსტო განყოფილება, 6.200 საფოსტო ყუთი, საფოსტო ტრანსპორტის სიგრძე (ავიაციის, ავტომანქანებისა და რკინიგზისა) 37.000 კილომეტრს შეადგენს.

ციფრები ყველაზე თვალსაჩინოდ ადასტურებენ საქართველოში კავშირგაბმულობის საშუალებათა გრანდიოზულ მიღწევებს. რესპუბლიკის ფოსტის მუშაკები ყოველწლიურად ეზიდებიან და აღრესატებს აბარებენ 1,5 მილიარდ წერილს, ამანათს, ფულბარათს, ჟურნალ-გაზეთებს და სხვ.

რესპუბლიკის ფოსტის მუშაკებს ყოველდღიურად მიაქვთ მკითხველებთან 4 მილიონზე მეტი გაზეთი და ჟურნალი. ამ რთულ და მეტად საჭირო საქმეს 8.000 კაცი ემსახურება. დღევანდელ დღეს მათი მუშაობა განსაკუთრებით უნდა აღინიშნოს. რიგითი ფოსტალიონები, ჩვენი კავშირგაბმულობის მტკიცე ჯაჭვის ყველაზე ბოლო, მაგრამ საიმედო მეკავშირეგოლს შეადგენენ. დღეს არ შეგვიძლია არ დავასახელოთ საუკეთესოთა შორის საუკეთესო ფოსტალიონები: თბილისელები მ. ბრეგაძე და პ. ნიკიტინი. ქ. რუსთავში ლ. სტეპანოვა, საგარეჯოელი ჟ. მეზვრიშვილი. ასეთების რიცხვი ძალიან დიდია. საკუთარი პროფესიის სიყვარულით გულანთებული ეს ადამიანები მეტად დიდ საქმეს უპრეტენზიოდ აკეთებენ.

ფოსტა იყო, არის და კიდევ დიდხანს დარჩება კავშირგაბმულობის ძირითად დარგად. ამ უკანასკნელ ხანს ჩვენს რესპუბლიკაში დიდად განვითარდა ტელეგრაფი, ტელეფონი, რადიო და ტელევიზია. წავიდა ის დრო, როცა დეპეშას წერტილებითა და ტირეებით გადასცემდნენ.

ბოლო ხანს ჩვენს რესპუბლიკაში ავტომატური ტელეგრაფის კავშირის სისტემაც ამუშავდა. ათასობით ამონენტაზ საშუალება მიეცა დისკოზე ციფრის აკრეფით დაუკავშირდეს სასურველ პუნქტს. უახლოეს წლებში ამოქმედდება დეპეშების გადასაცემი პირდაპირი შეერთების სისტემა, რითაც საგრძნობლად შემცირდება დეპეშების გავლის დრო და კიდევ ერთი მნიშვნელოვანი სიახლე დაინერგება რესპუბლიკის კავშირგაბმულობაში.

ტელეგრაფისა და საქალაქთაშორისო სატელეფონო კავშირის შემდგომი განვითარებისათვის ბევრი რამ გაკეთდება მიმდინარე ხუთწლედში. თბილისში რუსთაველის პროსპექტზე აშენდება ცენტრალური ტელეგრაფის ახალი მრავალსართულიანი შენობა, რომლის საამქროებში სატელეგრაფო მოწყობილობის გარდა მოთავსდება უახლესი აპარატურა საქალაქთაშორისო სატელეფონო ავტომატური კავშირისათვის. 1967 წელს დაიწყო თანამედროვე აპარატურით კაბელების გაყვანა. ამის მიზანია ვაწარმოოთ ასობით სატელეფონო საუბარი და განუსაზღვრელი რაოდენობით განვსხორციელოთ სატელეგრაფო კავშირი. სწორედ ამ სისტემის დანერგვით შემოდის თანდათან ჩვენს რესპუბლიკაში საქალაქთაშორისო ტელეფონით საუბრის დაუყოვნებლივი სისტემა.

საბჭოთა ხელისუფლების დამყარებამდე საქართველოში ქალაქების სატელეფონო ქსელი მხოლოდ 2.000 აბონენტს ითვლიდა. ამჟამად ეს ციფრი 125.000 ნომრამდე გაიზარდა, აქედან 90 პროცენტი ავტომატურია. თბილისში დღისათვის 60.000 ნომერია. მიმდინარე ხუთწლედის დამლევს დედაქალაქის ავტომატური ტელეფონის სადგურების ტევადობა 80.000 ნომრამდე გაიზრდება. სატელეფონო ქსელში აბონენტთა რიცხვის ზრდასთან ერთად დიდი ყურადღება მიექცევა ტელეფონის სადგურების მუშაობის ხარისხს.

მეოცე საუკუნე ატომის ეპოქაა. ტექნიკა არნახული ნაბიჯებით მიიწევს წინ. სწორედ ამ საუკუნეში შეიქმნა კავშირგაბმულობის მეტად საჭირო დარგები — რადიო და ტელევიზია,— მეცნიერებისა და ტექნიკის ეს ორი სასწაული. პირველი რადიოსადგურები ჩვენს რესპუბლიკაში 1918 წელს გამოჩნდა, ჯერ სამტრედიაში, შემდეგ ბათუმში. ახლა რადიოკვანძების რიცხვი 390-ზე მეტია, მათ შორის 132 კოლმეურნეობათა განკარგულებაშია. ამ რადიოკვანძებში ჩართულია 358.000 რადიოწერტილი, მათ შორის 157.000 — სოფელ ადგილებში. გარდა ამისა, საქართველოს აქვს მძლავრი რადიოსადგურები, რომლებსაც საქალაქთაშორისო კავშირისათვის იყენებენ.

საქართველოში ტელევიზია ყველაზე ახალგაზრდა დარგია. პირველი ტელეცენტრი თბილისში 1957 წელს აშენდა. მოკლე ხანში დამონტაჟდა მძლავრი ტელერეტრანსლატორები ქუთაისში, სოხუმსა და ბათუმში, აგრეთვე 26 მცირე სიმძლავრის რეტრანსლატორები აშენდა რესპუბლიკის სხვადასხვა რაიონში. დღეისათვის რესპუბლიკის მოსახლეობის 70 პროცენტს შესაძლებლობა აქვს უცქიროს თბილისისა და მოსკოვის ტელეგადაცემებს. მაღალმთიანი რაიონებისათვის გაყვანილია მავთულიანი საჰაერო ხაზები ტელეგადაცემებისათვის: ტყიბული-ამბროლაური, ხაშური-ბორჯომი, აბასთუმანი-ახალციხე და სხვ. მიმდინარე წელს ასეთივე საჰაერო ხაზების საშუალებით ტელეგადაცემებით უზრუნველყოფილი იქნება ყაზბეგი, ახალქალაქი და ბოგდანოკაკა. თუმცა ეს ჯერ მხოლოდ დასაწყისია. მომავალში რადიოსა და ტელევიზიის მომსახურების სფერო კიდევ უფრო გაფართოვდება. ამის შედეგად შესაძლებელი იქნება ტელეგადაცემის სამი პროგრამის, მათს შორის ერთი ფერადი პროგრამის განხორციელება.

7 მაისს რადიოსა და კავშირგაბმულობის მუშაკები — ინჟინრები და სპეციალისტები, ტექნიკოსები, რიგითი მშრომელები აღნიშნავენ თავიანთ დღესასწაულს. მათ ბევრი რამ აქვთ საამაყო. ისინი დღითიდღე სულ უფრო სრულყოფილად ფლობენ სამამულო ტექნიკას, აკეთარებენ კავშირგაბმულობის საშუალებებს, იბრძვიან იმისათვის, რომ მოწოდების სიმაღლეზე აიყვანონ კავშირგაბმულობის საშუალებებით მშრომელთა მომსახურების მეტად საპატიო საქმე.

მ. ინაური,

საქართველოს სსრ კავშირგაბმულობის მინისტრის პირველი მოადგილე.

• • •

სურათზე: კავშირის თანამგზავრი „მოლნია-I“.

საკადესის ფოტოქრონიკა.

საბჭოთა პრემიების მოსაპოვებლად

სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოსთან არსებული ლიტერატურის, ხელოვნებისა და არქიტექტურის დარგის ლენინური და სსრ კავშირის სახელმწიფო პრემიების კომიტეტისაგან

ლიტერატურის, ხელოვნებისა და არქიტექტურის დარგის ლენინური და სსრ კავშირის სახელმწიფო პრემიების კომიტეტმა 1968 წლის სახელმწიფო პრემიების მოსაპოვებლად კონკურსში მონაწილეობისათვის საქართველოს რესპუბლიკიდან დაუშვა შემდეგი კანდიდატურები:

ლიტერატურის დარგში

ბალანჩინი კ. რ. ლექსების წიგნი „სიბერის ფინ“, წარადგინა საქართველოს მწერალთა კავშირმა.

სახვითი ხელოვნების დარგში

ბერძენიშვილი მ. ი. დავით გურამიშვილის ძეგლი ქალაქ თბილისში. წარადგინეს საქართველოს სსრ კულტურის სამინისტრომ, საქართველოს მხატვართა კავშირმა, თბილისის სამხატვრო აკადემიამ, შოთა რუსთაველის სახელობის ქართული ლიტერატურის ისტორიის ინსტიტუტმა, „სოფლმშენის“ სახელმწიფო საპროექტო ინსტიტუტმა, თბილისის ფოლადთუჯსამსხმელო ქარხნის კოლექტივმა.

ოქიური ი. ა. ჰედური ნაწარმოებები ქალაქ თბილისის ქორწინების სახლის ინტერიერის გაფორმებაში: „მეხვედრა ნეფე-დედოფალთან“, „სიყვარული“, „რთველი“, „ოჯახი“, „მოცეკვავე“. ჰედური ნაწარმოებები სერიიდან „სიმღერა საქართველოზე“, „ფიროსმანიშვილი“, „ვეფხვების სვლა“. წარადგინეს სსრ კავშირის მხატვართა კავშირმა, საქართველოს სსრ კულტურის სამინისტრომ, საქართველოს მხატვართა კავშირმა, საქართველოს არქიტექტორთა კავშირმა.

ჩოგბურთელთა დიდი სტარტი

სხვადასხვა ქვეყნის კორტებზე მიმდინარეობს დევისის თასის გათამაშების წინასწარი შეხვედრები ჩოგბურთში.

სსრ კავშირისა და საბერძნეთის გუნდების შეხვედრაში, რომელიც თბილისში მიმდინარეობდა, 5 მაისამდე წინ იყვნენ საბჭოთა ჩოგბურთელები—2:1. უკანასკნელი ორი შეხვედრიდან ერთის მოგების შემთხვევაშიც კი საბჭოთა ჩოგბურთელებს უზრუნველყოფილი ექნებოდათ ბრძოლის შემდგომ ეტაპში მონაწილეობის უფლება, მაგრამ გუშინ მათ ორივე მოიგეს და მიზანს მიაღწიეს.

ჯადრაკის მერიდიანებზე

ანგარიში გათანაბრდა

დაიწყო ჯადრაკში მსოფლიო ჩემპიონობის პრეტენდენტების მ. ტალისა და ს. გლიგორიჩის მატჩის მეორე ნახევარი. როგორც ცნობილია, პირველ ხუთ პარტიაში ლიდერობას იუგოსლავიის არაერთგზის ჩემპიონი გროსმაისტერი ს. გლიგორიჩი ინარჩუნებდა, მაგრამ როგორც კი დაიწყო მეორე ნახევარი, მ. ტალმა მდგომარეობა გამოასწორა. მეექვსე პარტიაში მ. ტალი აღმავლობით იბრძოდა და 34-ე სვლაზე გაიმარჯვა.

ამრიგად, ექვსი პარტიის შემდეგ ანგარიში გახდა 3:3.

ბ. ლარსენი თუ ლ. პორტიში?

იუგოსლავიის დედაქალაქი დიდი საჭადრაკო მატჩების მოწმეა. გუშინ აქ გაიხსნა მსოფლიო ჩემპიონობის პრეტენდენტთა კიდევ ერთი მეოთხედფინალური მატჩი ცნობილი გროსმაისტერების **ბენტ ლარსენისა** და **ლაიოშ პორტიშის** მონაწილეობით. ისევე, როგორც სხვა მეოთხედფინალურ შეხვედრებში, აქაც მეტოქეებმა 10 პარტია უნდა გაითამაშონ.

ტელევიზია

6 მაისი

11.05 — სატელევიზიო ახალი ამბები (გადმოცემა მოსკოვიდან), 11.15 — სატელევიზიო მხატვრული ფილმი „კარლ მარქსი“, 18.00 — გადაცემათა პროგრამა, 18.05 — ახალი ამბები, 18.10 — კინონარკვევი, 18.20 — პროგრამა ბავშვებისათვის: 1. „ჩვენ ინგლისურს ვსწავლობთ“, 2. „ცეროდენის ეკრანი“, 19.00 — გადაცემა ციკლიდან „ქართული ხალხური სიმღერის ოსტატები“, პარმენ ბუხაიძე, 19.30 — გადაცემა — „მარქსი და თანამედროვე ბურჟუაზიული ფილოსოფია“, 19.50 — კინონარკვევი, 20.00 — დ. პრისტლი — „დოქტორი სოლტი მიემგზავრება“ — სატელევიზიო სპექტაკლის პრემიერა — ნაწილი პირველი (გადმოცემა ლენინგრადიდან), 21.00 — გადაცემა სამეცნ